

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
საქართველოს უმცირესი არსებული უცხოური
წყაროების კომისია

ესაი ჰასან ჯალაღიანი

აღვანთა ქვეყნის მოკლე ისტორია

ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, თარგმნა და კომენტარები
დაურთო კარლო კუციანი

გამომცემლობა „მეცნიერება“
თბილისი
1971

9(C41)+901(C4)
9(47.922)(001)+90(47.925)
ე 83

ესაი პასან ქალაღიანცი თხზულებაში—აღვანთა ქვეყნის მოკლე ისტორია—აღწერილია XVII ს. დასასრული-სა და XVIII ს. პირველ მეოთხედის ირანის, აზერბაიჯანისა და საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობა. ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ქართლის მეფის ვახტანგ VI ურთიერთობას ირანსა და რუსეთთან, მის კავშირს პეტრე I. საინტერესო ცნობებია მოტანილი ქართლისა და კახეთის შინაგანი პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ. ესაი პასან ქალაღიანცი აღწერილი მოვლენების თვითმხილველი და თანადამხდურია, ამიტომ მისი თხზულება წარმოადგენს ძვირფას პირველწყაროს აღნიშნული ხანის საქართველოს ისტორიისათვის.

მთავარი რედაქცია: ი. აბულაძე., ვლ. ფუთურიძე, ს. ყაუხჩიშვილი, გ. წერეთელი (მთ. რედაქტორი), ს. ჭიქია

სომხური წყაროების სერიის რედაქტორი ი. აბულაძე

შ ე ს ა ვ ა ლ ი

ესაი ჰასან ჯალალიანი ნაგვიანევი ხანის სომხური ფეოდალური ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია.

ისტორიკოსი ეკუთვნოდა მსხვილი სომეხი ფეოდალების ჰასან ჯალალიანების საგვარეულოს, რომელიც ფლობდა მთიან ყარაბაღში მდებარე ქვემო ხაჩენის ოლქს. 1240 წელს ჰასან ჯალალიანებმა მდინარე ხაჩენ-ჩაის მარცხენა ნაპირზე, განძასარის მთაზე ააგეს მონასტერი და ამ დროიდან მოკიდებული ხელთ იგდეს საერო და სასულიერო ხელისუფლება ქვემო ხაჩენში.

1511 წლიდან განძასარის მონასტერი აღევანთა ეპისკოპოსების ანუ, როგორც მათ უწოდებდნენ, განძასარის კათალიკოსების რეზიდენციად იქცა.

განძასარის კათალიკოსებად, როგორც წესი, ჰასან ჯალალიანების საგვარეულოს წარმომადგენლები ინიშნებოდნენ.

1702 წელს კათალიკოსად აკურთხეს ესაი ჰასან ჯალალიანიც; რომელიც ამ მოვალეობას გარდაცვალებამდე, ე. ი. 1728 წლამდე ასრულებდა. ესაიმ თავისი დროისათვის საფუძვლიანი განათლება მიიღო. სასულიერო მოვალეობის გარდა ესაი ჰასან ჯალალიანი პოლიტიკურ მოღვაწეობასაც ეწეოდა. მის პოლიტიკურ მრწამსს წარმოადგენდა დამოუკიდებელი სომხური სახელმწიფოს აღდგენა. ამისათვის, მისი აზრით, საჭირო იყო სომხეთისა და საერთოდ მთელი ამიერკავკასიის განთავისუფლება სეფიანთა ირანის დამოკიდებულებისაგან და ოსმალეთის ექსპანსიის აღკვეთა.

აღნიშნული მიზნის მიღწევა, ისტორიკოსის თვალსაზრისით, შესაძლებელი იყო მხოლოდ ერთმორწმუნე რუსეთის სახელმწიფოს მხარდაჭერით. ამიტომ ესაი ჰასან ჯალალიანი მჭიდრო კავშირს ამყარებს XVIII ს. პირველი მესამედის სომხური განმათავისუფლებელი მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენლებთან — ისრაელ ორთან და ვარდაპეტ შინას ტიგრანთან. მათი საშუალებით იგი ცდილობს რუსეთის

მთავრობის დაინტერესებას ამიერკავკასიის და კერძოდ შირვან-ყარაბაღის საქმეებით.

1711 წელს ესაი ჰასან ჯალალიანცი ისრაელ ორთან ერთად გაემგზავრა რუსეთისაკენ, რათა პირადად შეხვედროდა რუსეთის იმპერატორს, პეტრე დიდს, მაგრამ ისრაელ ორის სიკვდილის გამო იგი იძულებული გახდა ქალაქ ასტრახანიდან უკან გამობრუნებულიყო.

თუმცა ესაი ჰასან ჯალალიანცი ვერ ჩავიდა პეტერბურგს, მაგრამ პეტრე დიდის სახელზე გაგზავნილ წერილებში დაჟინებით სთხოვდა „მოსკოვის ხელმწიფეს“ გამოლაშქრებას კასპიისპირეთში სეფიანთა ირანის წინააღმდეგ და სწერდა: «И мы с (нашей) стороны и со всеми меликами, знатными и рамиками, готовы и ожидаем вашего прибытия»¹.

ამასთან ერთად, განძასარის კათალიკოსი პირდებოდა რუსეთის იმპერატორს, რომ პირადად იგი და მისი „ერთგული ხალხი“ ქმედით დახმარებას გაუწევდნენ რუსეთის ჯარს².

იმავე დროს თავისი პოლიტიკური მიზნების განხორციელებისათვის ესაი ჰასან ჯალალიანცი ცდილობდა გამოეყენებინა კავშირი ქართლის მეფე ვახტანგ VI-თან. ისტორიკოსი პირადად იცნობდა ვახტანგს, რომელთანაც რამდენიმე თვის განმავლობაში იმყოფებოდა თბილისში. მისი ცნობით, ქართლის მეფე დიდი ყურადღებით ეკიდებოდა სომხური ჯარის ორგანიზაციას ყარაბაღის სიღნაღებში. 1722 წელს ქართველ-სომეხთა 40 ათასიანი ჯარი დაიძრა განჯისაკენ, სადაც მას შეუერთდა ყარაბაღის სიღნაღების 12 ათასიანი ლაშქარი. განჯის მახლობლად დაბანაკებული ქართველ-სომეხთა ლაშქარი ელოდებოდა რუსეთის ჯარის გამოჩენას, მაგრამ პეტრე დიდი ქალაქ დარუბანდის აღების შემდეგ მოულოდნელად უკან გაბრუნდა და ლაშქრობა მომავალი წლის გაზაფხულისათვის გადასდო. ამიტომ ვახტანგიც იძულებული გახდა თბილისში დაბრუნებულიყო.

ამრიგად რუსეთისა და ქართველ-სომეხთა ერთობლივი ლაშქრობა სეფიანთა სახელმწიფოს წინააღმდეგ უშედეგოდ დამთავრდა და ესაი ჰასან ჯალალიანცის მიზანიც დამოუკიდებელი სომხური სახელმწიფოს აღდგენისა განუხორციელებელი დარჩა. იმედგაცრუებული ესაი ჰასან ჯალალიანცი თანდათან ჩამოშორდა პოლიტიკურ საქმიანობას.

1723 წლის შემდეგ ესაი ჰასან ჯალალიანცმა დაწერა მცირე ზომის საისტორიო ნაწარმოები „აღვანთა ქვეყნის მოკლე ისტორია“ (*Պատմութիւն համառոտ Աղուսնից երկրի*).

¹ Г. Эзов, Сношения Петра Великого с армянским народом, СПб, 1898, 33-204.

² იქვე, გვ. 317—318.

თხზულების ძირითადი ნაწილი უჭირავს XVIII ს. პირველი მეოთხედის ირანისა და ჩრდილოეთ აზერბაიჯანის პოლიტიკური მდგომარეობის და ვახტანგ VI-ს 1722 წლის განჯის ლაშქრობის აღწერას.

„აღვანთა ქვეყნის მოკლე ისტორია“ შესავლისა³ და ექვსი თავისაგან შედგება.

პირველი თავი წარმოადგენს ირანის ისტორიის ზოგად მიმოხილვას უძველესი დროიდან XV საუკუნის დასასრულამდე. მეორე თავში აღწერილია სეფიანთა სახელმწიფოს დაარსება (1501 წ.), სეფიანი შაჰების მოღვაწეობა და ირანის დასუსტება-დაქვეითება XVII—XVIII სს. მიჯნაზე.

თხზულების ეს ნაწილი ძირითადად ეყრდნობა წინარე ხანის სომეხი ისტორიკოსების მოვსეს ხორენაცის, ვარდან ვარდაპეტის, კირაკოს განძაკეცის, თოვმა მეწოფეცისა და სხვათა თხზულებებს, ე. ი. კომპილატური ხასიათისაა და ამდენად არ შეიცავს რაიმე ახალსა და საგულისხმოს. ამასთანავე ისტორიკოსს ხშირად არასწორად მოაქვს ცნობები აღნიშნული ავტორების საისტორიო ნაწარმოებებიდან, შეცდომებს უშვებს სხვადასხვა ისტორიული ფაქტების დათარიღებაში, ერთი ავტორის ცნობას მეორეს მიაწერს და ა. შ. პირველ ორ თავში მკირე რაოდენობითაა დაცული ცნობები საქართველოს შესახებ.

სრულიად სხვა ხასიათისაა თხზულების მომდევნო ოთხი თავი. აქ ესაი ჰასან ჭალალიანცი მოთხრობილი ამბების თვითმხილველად და თანადამხდურად გვევლინება. ამიტომ მისი ცნობები პირველწყაროს მნიშვნელობას იძენენ: ისტორიკოსი საქმის ცოდნით აღწერს იმ პოლიტიკურ და ეკონომიურ ვითარებას, რომელიც შეიქმნა ირანსა და ამიერკავკასიაში XVIII ს. პირველ მეოთხეტში.

საყურადღებო ცნობებია მოცემული სეფიანთა სახელმწიფოში საგადასახადო უღლის დამძიმებისა და ახალი გადასახადების (ახრაჯათ-ე შაჰზადე, შეშდინარი, აბიქურენი და სხვ.) შემოღების შესახებ, აღწერილია სპარსელ მოხელე-ხელისუფალთა მექრთამეობა, სხვადასხვა ბოროტმოქმედება და დაბეგრილი მოსახლეობის ექსპლოატაცია. დიდ ყურადღებას აქცევს ესაი ჰასან ჭალალიანცი დაღისტნელი ფეოდალების სურხაი-ხანის და ჰაჯი-დაეუდის ხელმძღვანელობით ლეკთა თარეშს ყარაბაღსა და შირვანში და აგრეთვე განჯის, შემახისა და სხვა ქალაქების დაპყრობა-დარბევის აღწერას. იმავე დროს ისტორიკოსი

³ შესავალში ლაპარაკია სარწმუნოებრივ საკითხზე და ჩამოთვლილი არიან წინარე ხანის სომეხი ისტორიკოსები. მასში არაფერი არაა ნათქვამი საქართველოს შესახებ. ამიტომ საჭიროდ არ ეცანით „შესავლის“ ქართულად თარგმნა.

საკმაოდ ვრცლად ლაპარაკობს იმ სახალხო გამოსვლებსა და განმათავისუფლებელ მოძრაობაზე, რომელმაც მოიცვა სეფიანთა სახელმწიფოს ცალკეული ნაწილები.

„აღვანთა ქვეყნის მოკლე ისტორიაში“ დიდი ადგილი უჭირავს XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის ქართლის პოლიტიკური ვითარების აღწერას, ვახტანგ VI ურთიერთობას კახეთთან, ამიერკავკასიის მეზობელ ქვეყნებთან და რუსეთთან.

ისტორიკოსის მონათხრობიდან კარგად ჩანს, რომ ქართლი წარმოადგენდა ყველაზე უფრო მნიშვნელოვან ძალას, რომლის მეშვეობითაც შეიძლებოდა პოლიტიკური გაბატონება ამიერკავკასიაში. ამიტომ ცდილობდა ვახტანგ VI მომხრობას ირანი, თურქეთი და რუსეთი. მაგრამ ქართლის მეფემ ერთმორწმუნე რუსეთთან კავშირი არჩია, რადგანაც კონკრეტულ ისტორიულ ვითარებაში რუსეთისა და საქართველოს ინტერესები ემთხვეოდა ერთმანეთს. XVIII საუკუნის ოციან წლებში, ისევე როგორც XVII—XVIII სს. მიჯნაზე, რუსეთი მიზნად ისახავდა ოსმალეთისა და ირანის წინააღმდეგ ბრძოლაში „ქართველ სამეფო-სამთავროთა შემოკრებას“, ხოლო საქართველო ცდილობდა „რუსეთის მფარველობის ქვეშ გაერთიანებას და აღდგომას“⁴

ესაი ჰასან ჯალალიანცი აღწერს ვახტანგის მზადებას შირვანში ლაშქრობისათვის, სადაც იგი რუსეთის ჯარს უნდა შეერთებოდა. იქვე მოტანილია ცნობები ყარაბაღის სიღნაღების სომხური ლაშქრის აჯანყებაზე სეფიანთა ირანის წინააღმდეგ და მის კავშირზე ქართლის მეფესთან.

ესაი ჰასან ჯალალიანცი არ იფარგლება მხოლოდ განჯის ლაშქრობის აღწერით.

„აღვანთა ქვეყნის მოკლე ისტორიაში“ დაცულია აგრეთვე მასალა, რომელშიც ასახულია მაჰმადყული-ხანის ანუ კონსტანტინე კახთა მეფის ბრძოლა ვახტანგის წინააღმდეგ ქართლისათვის. ისტორიკოსის ცნობით, ქართლის მეფეს ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავდა ამიერკავკასიაში, მაგრამ „განსაკუთრებით მტრულად იყო განწყობილი მის მიმართ რჯულიდან განდგომილი მაჰმადყული, კახეთის ხანი“. მან განჯის, ერევნის, ბორჩალოსა და ყაზახის მფლობელებთან ერთად ვახტანგი დაასმინა ირანის შაჰთან თამაზ II-თან (1722—1732), რომ ვახტანგს „განზრახული აქვს აგიჯანყდეს, მიიმხროს სომხები და ქართველები, დესპანი გაგზავნოს რუსეთის ხელმწიფესთან, რათა იგი მოვიდეს და

⁴ ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს რუსეთთან ურთიერთობის ისტორიიდან XVI—XVII საუკუნეთა მიჯნაზე. საქართველოს ისტორიის საკითხები. ტ. IV, თბილისი, 1967, გვ. 44.

დაეპატრონოს შენს ქვეყანასო“. ასეთი სამსახურის სანაცვლოდ „ახლად გამეფებულმა უგუნურმა“ შაჰ თამაზმა კახეთი და ქართლი „ქართველთა ყველა ოლქთან ერთად უწყალობა მაჰმადიური ხანს“ და სამაგიეროდ მოითხოვა „ვახტანგი ან მისი თავი“.

ესაი ჰასან ჯალალიანცი უარყოფითად ახასიათებს სამშობლოს მოღალატე მეფეს და უწოდებს მას „მეორე იუდას“ (*ისეჰიორე მოდაყ*) იგი სიძულვილით აღწერს მაჰმადიური ხანის ბრძოლას ქართლისათვის, ლეკთა მომხრობას და მათი დახმარებით თბილისის აღებას და აოხრებას. „სახელგანთქმული და მშვენიერი ქალაქის თბილისის“ დარბევის აღწერით ასრულებს ესაი ჰასან ჯალალიანცი თავის საისტორიო ნაწარმოებს. ისტორიკოსი არაფერს ამბობს ვახტანგ VI შემდგომი ბედის შესახებ.

ამრიგად „აღვანთა ქვეყნის მოკლე ისტორია“ ძვირფასი პირველწყაროა XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის ქართლის სამეფოს პოლიტიკური ისტორიის შესასწავლად.

როგორც აღინიშნა, XVIII საუკუნის ამბების აღწერა „აღვანთა ქვეყნის მოკლე ისტორიაში“ დაფუძნებულია ავტორის უშუალო დაკვირვებაზე. ამდენად მის მიერ მოტანილი ცნობები, უთუოდ, სერიოზული ყურადღების ღირსია. მით უმეტეს, რომ ესაი ჰასან ჯალალიანცის ცნობები ხშირად დადასტურებას პოულობს, როგორც სომხურ, ისე ქართულ და სპარსულ ისტორიულ წყაროებში.

მაგრამ მიუხედავად ამისა, „აღვანთა ისტორია“ მაინც ფრთხილ და კრიტიკულ მიდგომას მოითხოვს, რადგანაც ესაი ჰასან ჯალალიანცი ზოგჯერ სწორად ვერ განმარტავს ისტორიულ მოვლენებს. იგი ზოგიერთ შემთხვევაში გვერდს უვლის რეალურ ვითარებას და სუბიექტურად აშუქებს ისტორიულ ფაქტს.

ამ მხრივ, უწინარეს ყოვლისა, ყურადღებას იქცევს ისტორიკოსის მიერ ქართველების უარყოფითად დახასიათება.

როგორც მისი თხზულებიდან ირკვევა, ესაი ჰასან ჯალალიანცის გულისწყრომის მიზეზი გახდა 1722 წლის ვახტანგ VI ლაშქრის მიერ მუსლიმანური სოფლების გარდა ზოგიერთი სომხური სოფლის დარბევაც ყარაბაღში. მაგრამ ისტორიკოსი არ ითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ განჯის დასახმარებლად მისულ ქართლის ჯარს განჯელებმა უარი უთხრეს აღთქმული თანხის გადახდაზე. ცხადია, რომ უსახსროდ დარჩენილი მრავალათასიანი ფეოდალური ლაშქარი იძულებული იქნებოდა მისთვის აუცილებელი სურსათ-სანოვაგე ადგილობრივი მოსახლეობის (მუსლიმანური და ქრისტიანული) დარბევით ეშოვა. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ვახტანგის ლაშქარში ქართველებს გარდა მრავლად

იყვნენ სომხებიც. იგი სინამდვილეში ქართველ-სომეხთა გაერთიანებულ ჯარს წარმოადგენდა. ეს კარგად იცის ისტორიკოსმაც, მაგრამ ყარაბაღის სომხური სოფლების აოხრებას ესაი ჰასან ჯალალიანცი მანც მართო ქართველებს აბრალებს, რაც, რასაკვირველია, შორსაა ისტორიული სინამდვილიდან.

ქართველ-სომეხთა ლაშქრის მიერ ყარაბაღის სოფლების დარბევა მხოლოდ გამონაკლისია ამიერკავკასიის ხალხთა ბრძოლაში ირანისა და ოსმალეთის წინააღმდეგ. მას არავითარი კვალი არ დაუტოვებია ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი ხალხის მეგობრულ ურთიერთობაში, ისინი კვლავ გაერთიანებული ძალებით განაგრძობდნენ ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის.

საქართველოს გარდა ესაი ჰასან ჯალალიანცის „აღვანთა ქვეყნის მოკლე ისტორია“ საყურადღებო ცნობებს გვაწვდის XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის ირანისა და აზერბაიჯანის რიგი პოლიტიკური და ეკონომიური საკითხების შესასწავლად.

ამდენად ესაი ჰასან ჯალალიანცის საისტორიო ნაწარმოების სომხური ტექსტისა და ქართული თარგმანის გამოცემა თანაბრად სასარგებლო იქნება როგორც საქართველოს ისტორიის სპეციალისტებისათვის, ასევე აღმოსავლეთმცოდნე-ისტორიკოსებისათვის.

„აღვანთა ქვეყნის მოკლე ისტორიის“ ორი გამოცემა არსებობს. პირველი გამოცემა განზორციელდა 1839 წელს ქალაქ შუშაში ყარაბაღის მატროპოლიტის ბაღდასარ ჰასან ჯალალიანცის თაოსნობით⁶. მეორედ თხზულება დაიბეჭდა 1868 წელს იერუსალიმში⁷. წინამდებარე თარგმანს საფუძვლად დაედო შუშის გამოცემა. გათვალისწინებულია აგრეთვე იერუსალიმის გამოცემაც.

ესაი ჰასან ჯალალიანცის საისტორიო ნაწარმოების სრული ტექსტი აქამდე ითარგმნა მხოლოდ ერთხელ. მისი ფრანგული თარგმანი ეკუთვნის აკად. მ. ბროსეს⁷.

თხზულების მეექვსე თავი („ქართველთა მეფის ვახტანგის მეორედ მოსვლა განჯას“) ფრანგული თარგმანიდან ქართულად გადმოიღო ვ. კვერვალაძემ. მის მიერ შესრულებული ქართული თარგმანი დაი-

⁶ «*Պատմութիւն կամ ჩիշտոսկ ինչ-ինչ անցից, դիպելից յաշխարհին Աղուանից, համարողագրեալ 'ի սբոբօզանակատար կարևդիկսն Աղուանից 'ի տէր Ստայր հասան Ջալալխանց 'ի բուսկանին հայոց ՌՄՄ իսկ 'ի բուսկանին տեսան մերոյ փրկիչին Յիսուսի. Շուշա, 1839.*»

⁷ «*Պատմութիւն համարող Աղուանից երկրի Յօրինեալ Ի Տ. Ստայր Աղուանից կարևդիկոսէ հասան Ջալալխանց, Սիրուսայէթ, 1868.*»

⁷ *Histoire d'aghovanie par le catholicos Esai Hasan-Dchalalians, Collection d'Historiens arméniens, traduits par M. Brosset, t. II, s.—Petersbourg, 1876.*

ბეჭდა 1902 წელს ჟურნალ „მოგზაური“⁸. ვ. კვერვალაძის ქართული ისევე როგორც მ. ბროსეს ფრანგული თარგმანი ზოგჯერ საგრძნობლად დაშორებულია დედნიდან და უფრო თავისუფალ თხრობას წარმოადგენს, ვიდრე სომხური ტექსტის ზუსტ თარგმანს.

ესაი ჰასან ჯალალიანცის „ალეანთა ქვეყნის მოკლე ისტორია“ ჟურჯერობით სათანადოდ არ არის გამოყენებული ქართულ ისტორიოგრაფიაში.

მხოლოდ 1968 წელს გამოქვეყნდა გ. მაისურაძის წერილი: „ესაი ჰასან ჯალალიანცის ნაშრომი—„ალეანეთის ისტორია“ ქართველი და სომეხი ხალხების ურთიერთობის შესახებ“⁹, რომელშიც მოტანილია თხზულების შექვეყნების თარგმანებიც.

⁸ „მოგზაური“, თბილისი, 1902, № 1.

⁹ საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები, თბილისი, 1968.

ალვანთა ქვეყნის მოკლე ისტორია

თ ა ვ ი

გარდასულ დროთა მოკლე ისტორია შემკრებილი ვინმე მაძიებლის მიერ

უამსა სპარსელთა მეფობისა, რომლებიც რკუღით მაჰმადიანები არიან, [ისინი] ძალმომრეობით ფლობდნენ [ქვეყანას] კავკასიის მთიდან და კასპიის ზღვის ნაპირის იმ ადგილიდან დაწყებული, (რომელსაც რკინის კარი ეწოდება) მაზანდარამდე¹ და ასტრახადამდე², ხოლო იქიდან ოზბეგთა საზღვრებით ხორასანამდე³ და ყანდაპარის ციხემდე⁴, საიდანაც იგი ვრცელდებოდა ინდოეთის ზღვის ნაპირებამდე⁵ ქალაქ ბანდარამდე⁶, აქედან კი—შირაზამდე⁷ და ხმელეთის საშუალებით აღწევდა ბაბილონამდე (ე. ი. ბაღდადამდე), ხოლო იქიდან და იმ ადგილიდან მისი საზღვარი მიდიოდა ჰამადანამდე⁸ და ვანის ზღვამდე⁹, საიდანაც მარების [სამფლობელოს]¹⁰ საზღვრებით აღწევდა ხოის და სალმასტს¹¹ და ნახიქევანის გავლით — მდინარე არეზს, ხოლო იქიდან საპათივით, კალზუანით და კოლბით — მდინარე ახურიანამდე, რომელსაც არფაჩი ეწოდება. იქიდან კი სჭრიდა ყაიყულად წოდებულ ოლქს და აღწევდა საქართველოს საზღვრებს, ქალაქ თბილისს და კახეთს, ყველა მათ თემსა და თუმანს¹². ამის შემდეგ [სპარსელთა სამფლობელო] აღწევდა კავკასიის მთებს ისევ იმავე სიმაგრე ჰუნარაკერტამდე, (ე. ი. დარუბანდამდე) და ადგილ-სამყოფელომდე მთიელთა მთავრისა, რომელსაც შამხალს უწოდებდნენ¹³, ხოლო მისი რეზიდენცია კი თარხუს სახელითაა ცნობილი.

ამრიგად, აღმოსავლეთის ამ ნაწილის მონაკვეთს ევროპის სამხრეთ და ჩრდილოეთ მხარეებთან ერთად ფლობდნენ სპარსელნი, რომელნიც ყიზილბაშებად იწოდებიან. მათი სამეფო ტახტი და გვირგვინი იმყოფება სახელგანთქმულ მეფეთსაჟდომ დედაქალაქ შოშში, (ე. ი. ისფაჰანში), სადაც სხედან მათი ხელმწიფენი და იღბლიანად განაგებენ დაპყრობილ ხალხებს და ავრცელებენ თავის ძალაუფლებას მარჯვნივ და მარცხნივ.

მაგრამ ამჟამად აქ ვერაფერს ვიტყვით დანამდვილებით მათ წინაპარ მამამთავართა შესახებ თუ რომელი ტომიდან და გვარიდან წარმოსდგნენ მათი ხელმწიფენი ან და ვის შემდეგ დაწინაურდნენ ისინი, რადგანაც წმინდა მამაი ჩვენი მოვსეს ქერთოლი¹⁴ ასეთნაირად გვარწმუნებს ჩვენ, რომ მამაცმა არშაკ პართელმა განდევნა მაკედონელები და ალექსანდრეს ძიძიშვილები, რომელთაც სამოცი ან უფრო მეტი წელი ეპყრათ სპარსელთა სახელმწიფო. მანვე თავისი ძმა-ვალარშაკი თავის შემდეგ მეორე კაცად დანიშნა და მეფედ გაგზავნა სომხეთში¹⁵. ასე, ერთი გვარიდან წარმოსდგნენ ორი ტომის, სპარსელთა და სომეხთა, პართელი ხელმწიფენი, [რომელნიც მეფობდნენ] იმ დრომდე, ვიდრე სასანელმა არტაშირმა მოკლა არტაბანი, არშაკუნიანი ხელმწიფე, და თვითონ დაიპყრო სპარსელთა სამეფო¹⁶. [სასანელები] ბატონობდნენ ხალხებზე მუჰამედის გამოჩენამდე¹⁷, რომლის ოცდაათი ან უფრო მეტი ან ნაკლები წლის ზეობის შემდეგ [არაბებმა] მოკლეს სპარსეთის შაჰინშაჰი იეზიდგერდი¹⁸ და დაეპატრონნენ მის სახელმწიფოს. მათ შემდეგ გაბატონდა ვინმე სახელად მაჰმუდი¹⁹, გაძლიერდა ბალხში და იქიდან [თავისი ხელისუფლება განავრცო] ხორასანამდე. შემდეგ ერთიმეორის მონაცვლეობით [მისმა მემკვიდრეებმა] წინ წაიწიეს და აიღეს პერათი. ხოლო მაჰმუდის ძემ სახელად მაყსუდმა²⁰ პერათიდან დაიპყრო ნიშაბური, ყაზვინი, ისფაჰანი, ერაყის მთელი ქვეყანა და ქურთისტანი (წმიდა ვარდაპეტის ვარდანის თანახმად)²¹. შემდეგ მათ შესახებ მოგვითხრობენ, რომ შვილებისა და მამების მონაცვლეობით ისინი დიდხანს ისხდნენ ყაზვინში²². მათი სახელები შემდეგია: აბუ-ალი, დაუდი, ჩალირი-ბეგი, აბუთალიბი, თორღრულ-ბეგი²³. ეს უკანასკნელი გაძლიერდა ხალიფასაგან, მიიღო სულთნის ხელისუფლება და წოდება და განავრცო თავისი [სამფლობელოს] საზღვარი ხორასნიდან მოკიდებული სპარსელთა მთელ ქვეყანაზე²⁴.

იგი შეცვალა ალფ-არსლანმა²⁵ მისივე ძმისშვილმა, მის შემდეგ იყო მისი ძე მელიქ-შაჰად წოდებული²⁶, შემდეგ სულთან მაჰმუდი, მის შემდეგ ბაქარუხი. სულთან მაჰმუდის ძემ დაამარცხა ბაქარუხი და თვითონ განდა სულთანი. მაჰმუდის შემდეგ იყო მისი ძე და სულთან სანჯარი²⁷, რომელმაც მოკლა მაჰმუდი და მიიტაცა ხელისუფლება, შემდეგ მისი ძე დაუდი, შემდეგ თორღრული, მის შემდეგ მაყსუდი, შემდეგ მეორე თორღრული, რომლის შემდეგ იყო ალფ-არსლანი, რომელმაც აიღო ქალაქი ანისი [და სხვა ადგილები] საქართველომდე²⁸ და რომელსაც პატივისცემით ეპყრობოდა თვითონ ხალიფაც. ეს ალფ-არსლანი შეცვალა სხვა თორღრულმა, ხოლო შემდეგ იყო შაჰ-არმენი²⁹, შემდეგ ელდლუზი, რომლის შემდეგ ფაჰლავანი და ყიზილ-ასლანი, მისი ძენი ერთად მართავდნენ სახელმწიფოს³⁰. ამან მიადღია

626 წლამდე სომხური წელთაღრიცხვით³¹. ამ მონაკვეთის შესახებ ველარაფერი მოვიძიეთ, მაგრამ იგივე ვარდაპეტი³² მოგვითხრობს, რომ 674 წელს³³ მოვიდნენ თათრები და ხვარაზმშაჰის ძე გაიქცა ხორასანში.

ხოლო თათართა გამოჩენას, სულთან ჯალალ ად-დინის გაქცევას ხორასანში, [თათართა] ჩვენზე წამოსვლას, ჩვენს დამარცხებას და მთელი ქვეყნის დაპყრობას, იბლხიანად ბრძოლას და მსოფლიოს დამორჩილებას და მათ ნაირ-ნაირ ბოროტებასა და განსაცდელს, რომელიც თავს დაატეხეს ყველა ხალხს აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე, ჩრდილოეთიდან სამხრეთამდე, ყოველივე ამას ერთიმეორის მიყოლებით გვაუწყებენ ვანაკანი³⁴, კირაკოსი³⁵ და იგივე ვარდანი [და სხვა] ვარდაპეტები და მემატიანენი, რომლებსაც მოჰყავთ მათი ძალმომრეობის ისტორია 715 წლამდე³⁶. ამის შემდეგ ველარ გაეარკვეით მათი მფლობელობის წელთა სიმრავლე, ან რა საშუალებით მოიშორეს თათრები, ან ვინ იყო ის, ვინც განდევნა და გააძევა ისინი ჩვენი ქვეყნიდან ან ვინ იყვნენ ისინი, ვინც დაეპატრონა და დაიმორჩილა სპარსელთა ქვეყანა, ვიდრე, როგორც ამბობენ, 835 წელს³⁷ არ მოვიდა თემურ-ლენგი, რომელმაც მსგავსად ნადირისა ყველაფერი შთანთქა და დაფლითა, ხოლო გადაჩენილნი მხილველთა მოწმობით ფეხით გათელა, მთელ მსოფლიოს ხარკი დაადო დაწყებულ საპარყანდიდან სამარამდე და ეგვიპტემდე, თვრამეტი წელი მუსრს ავლებდა ყველა ასაკის [ადამიანს], არბევდა ეკლესიებს ყველგან, სადაც კი ფეხს შედგამდა³⁸. მის ბოროტმოქმედების ამბავს მოგვითხრობს ვარდაპეტი თოვმა არწრუნი³⁹. მის შემდეგ მოგვითხრობენ ვერაგ ყარა-იუსუფის მოსვლას 855 წელს⁴⁰ და მის სხვადასხვა ბოროტმოქმედებას. მის შემდეგ 870 წელს⁴¹ გამოჩნდა ვინმე შაჰრუხი ორჯერ უფრო მასზე ვერაგი⁴², ხოლო შემდეგ — ჯალათა. მათ შემდეგ იყო ჯაჰან-შაჰი, ტომით თურქი, რომელიც ხელმწიფის მსგავსად გაბატონდა მთელ სპარსეთში. 888 წელს იგი შეეკალა იაყუბ-ფადიშაჰმა, მისმა ძემ 932 წელს სომხური წელთაღრიცხვით⁴³.

ამ ხელმწიფე იაყუბმა, რომელიც იჭდა სატახტო ქალაქ თავრიზში, ჩაისიძა და თავისი და (ყოლად მისცა) შეიხ ჰეიდარს, რომელიც იყო ძე შეიხ-სეფისა, ქალაქ არდებილის მფლობელისა. ხსენებული შეიხის წარმომავლობის, მოდგმისა და მდგომარეობის შესახებ ვერსად ვერაფერი მოვიძიეთ, თუ საიდან ან რომელი ტომიდან დაწინაურდნენ და აქ [როდის] დასახლდნენ⁴⁴. ამ შეიხმა ჰეიდარმა შვა ერთი ძე, რომელსაც ისმაილს უწოდებდნენ და რადგანაც იაყუბ-ფადიშაჰს არ ჰყავდა ვაჟი, ამიტომ შეიხმა და მისმა მეუღლემ განიზრახეს რაიმე ხერხით მოეკვლევინებინათ იაყუბი, რომ თვითონ ისინი და მათი ძე

დარჩენილიყვენენ ტახტის მემკვიდრეებად. სწორედ ასე მოიქცნენ. რადგანაც იგი გამასპინძლების მიზნით თავისთან მიიპატივეს და მოუშვადეს მომაკვდინებელი საკმელი, მაგრამ მან როგორც კი იგემა, მყისვე მიხვდა ყველაფერს და შემდეგ მრისხანედ უბრძანა, რომ მათაც ექამათ. ასე ერთდროულად დაიხოცნენ ხელმწიფე, მისი და და შეიხი. ლაშქრის მრისხანებისაგან [დასახსნელად] ყრმა ისმაილი გაიტაცეს ახთამარის კუნძულზე⁴⁵ (ვარდაპეტ არაქელ დაერიყეცის გადმოცემის თანახმად)⁴⁶. ამის შემდეგ აღსდგნენ ყველანი და ისწრაფოდნენ მბრძანებლის ტახტისაკენ. მათ შორის ვინმე სახელად სინხური გაძლიერდა, დაეუფლა ქვეყანას და განამტკიცა თავისი ტახტი ისთაპანში 948 წელს⁴⁷. მის შემდეგ იყო ალვანდი⁴⁸ მცირე ხანს. მან იმეფა 950 წლამდე სომხური წელთაღრიცხვით⁴⁹.

ისე როგორც ჩვენი მოთხრობის დასაწყისშივე თავი აგარიდეთ აქაც არ გვიცდია მოძიება და დაწერა სრული რიგისა და გენეალოგიისა სპარსელთა ხელმწიფეთა, თუ როგორ სცვლიდა შვილი მამას. აი მხოლოდ ამდენი ამოვკრიფეთ ძველი ისტორიებიდან, გამოჩენილ და შესანიშნავ [პიროვნებათა] სახელები, უღმობელ და ურჯულო ადამიანთა [შესახებ და] მოვალწიეთ აქამომდე, ჩვენ საყვარელ ძმათა შესაქცევლად. დიდება უფალსა ჩვენსას იესოს უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

თ ა ვ ი II

ყიზილბაშიგად წოდებული სპარსელების სახელმწიფოს დაარსებისა და მათი ხელისუფლების დასუსტების შესახებ

ამრიგად, როგორც ვთქვით, დაიხოცნენ იაყუბ ფადიშაჰი და შეიხი ჰეიდარი, ხოლო მცირეწლოვანი ისმაილი ახთამარის კუნძულზე გაიტაცეს. რამდენიმე წლის შემდეგ, როდესაც ყრმა წამოიზარდა, დიდმა შფოთმა და შულმა მოიცვა სპარსელთა ქვეყანა. მაშინ პირი შეპკრეს მხედართმთავრებმა და ლაშქარმა, რომ წამოიყვანდნენ ისმაილს კუნძულიდან და ხელმწიფედ დაისვამდნენ, რადგანაც ამბობდნენ, რომ ესაა ორივე მხრის მემკვიდრე, ე. ი. როგორც ძე შეიხისა და დისწული იაყუბ-ფადიშაჰისა და ხელმწიფობაც მას ეკუთვნისო. ამიტომ ეყმნენ და თაყვანი სცეს მას.

ხოლო იგი აღსდგა 950 წელს და ჯერ ზემოხსენებული ალვანდი განდევნა და თვითონ დაიპყრო ხელისუფლება, შემდეგ მარჯვნივ და მარცხნივ ეომა მტრებს ოცდახუთი წელი, შეძლებისდაგვარად განავრცო თავისი [სამფლობელოს] საზღვარნი და სახელმწიფოს მართვაში გარაიცვალა 975 წელს. მის შემდეგ იმავე წელს გახელმწიფდა მისი

ბე შაჰ-თამაზი³, კაცი მხნე და მამაცი. მან მრავალი ადგილი დაუმორჩილა თავის ხელისუფლებას. ისეთები, როგორცაა ატროპატაკანი და ქართველთა ქვეყანა, ძალით დაიპყრო და [თავისი ბატონობა] ხორასნის მხარეზეც განავრცო⁴. მანვე, როგორც მოგვითხრობენ, ბევრი წესი გაასწორა თავის სახელმწიფოში და შეამსუბუქა გადასახადებ⁵. იგი გარდაიცვალა 1024 წელს⁶ და მის ნაცვლად [ხელმწიფედ] დასვეს მისივე ძე სახელად ისმაილი, რომელმაც მოინდომა თავის მხედართმთავრებსა და ლაშქარში მოესპო თავგამზიდაენი და ურჩი შუღლისმოყვარენი. მაგრამ მათ დაასწრეს და დაუყოვნებლივ სასიკვდილოდ დასჭრეს იგი. რისგანაც, როგორც ამბობენ, ისმაილი გარდაიცვალა⁷. მის შემდეგ ხორასნიდან მოიყვანეს მისი ძმა ხოდაბანდედ წოდებული, კაცი მხდალი და უსინათლო⁸. ისიც რამდენიმე წელს სისასტიკითა და სიმწარით მართავდა სახელმწიფოს, რის შემდეგაც გარდაიცვალა. შემდეგ 1029 წელს მისი ძე აბასი, დიდად წოდებული, შაჰად დასვეს მეშქედში⁹, რომელმაც მცირე ხანში დაიმორჩილა თავისი ახლო-მახლო მტრები და ძალმომრეობით შეუერთდა თავის სამფლობელოს თავის წინაპართა ყველა ქვეყანა, ხორასნიდან მდინარე არეზამდე და ბაღდადამდე, ატროპატაკანის გამოკლებით.

იმის გამო, რომ კონსტანტინოპოლის ოსმალოთა ხელმწიფე, ქედ-მადალი სულთანი მურადი, ხონთქრად წოდებული ექიშებოდა მას, მან შეჰყარა ლაშქარი და ბრძანა ატროპატაკანის ქვეყანაზე წასვლა და მისი დაპყრობა. [ოსმალონი] მოვიდნენ და მართლაც აიღეს ერევანი, ნახჭევანი, თავრიზი, განჯა, საქართველოს საზღვარნი — თბილისი და ქართველთა მთელი ქვეყანა და აგრეთვე მდინარე მტკვრის ვაღმა მხარე — შაქი, შირვანი, შემახა და დარუბანდი¹⁰. ამდენ ქალაქსა და ქვეყანას ფლობდნენ ოსმალონი. იმ მხარეებში ომების დასრულების შემდეგ ხელმწიფე შაჰ-აბასი მშვიდობიანად იჯდა [სპარსეთის] დედაქალაქ ისფაჰანში. რამდენიმე წლის შემდეგ იგი კვლავ დაიძრა ატროპატაკანის ქვეყნისაკენ, მის დასაპყრობლად. დიდძალი ლაშქრით თავს დაესხა თავრიზს და თავისი ბედისა და იღბლის წყალობით ერთი წლის განმავლობაში დაიპყრო თავრიზი, ნახჭევანი და ერევანი, ხოლო ერთი წლის შემდეგ განჯა და ყარაბაღის მთელი ქვეყანა, შემახა, დარუბანდი და მათი სანახები, ქალაქი თბილისი და მთლიანად საქართველო ხელიდან გამოჰგლიჯა ოსმალოთ. ამ საქმეთა შემდეგ მან ზავიც განამტკიცა ოსმალოთა ხელმწიფესთან და გაირკვა თითოეულის საზღვრები და წილი სპარსელთა და ურუმთა ორ ქვეყნის შორის¹¹.

ასე გმირულად და ვაჟკაცურად ცხოვრობდა იგი და გარდაიცვალა 1078 წელს¹². ხოლო მის შემდეგ იმავე წელს ისფაჰანში გაახელმწიფეს მისი შვილიშვილი შაჰ-სეფი¹³. ესეც მხნედ და მშვიდობიანად

მართავდა თავის სამფლობელოს, შემდეგ გამოესალმა წუთისოფელს და სახელმწიფო დაუტოვა თავის ძეს შაჰ აბას მცირეს¹⁴ 1091 წელს სომხური წელთაღრიცხვით¹⁵. ამან უფრო მეტად განამტკიცა თავისი ხელისუფლების ტახტი, უშიშარპყო თავისი ქვეყანა და ხალხი ყველა მხრის მტრისაგან. მის დროს მოშენდა ყველა ხარაბა სოფელი, ქალაქი და მიწა სომეხთა და სპარსელთა ქვეყანაში, რადგანაც იყო ქრისტიანთა დიდი მოყვარე და ქვეყნის მამენებელი, რომლის დეაწლითაც ყველგან განმტკიცდა ეკლესიები, სავანეები და უდაბნოები, განსაკუთრებით კი ეჩმიაწინის წმინდა ტახტი და წმიდა განძსარი აღვანქში წმ. პამათავრის ფილოზოსის და კათალიკოსის პეტროსის დროს. ესეც ასე სეებედნიერად მყოფი ამ ქვეყანაში, გარდაიცვალა 1110 წელს¹⁶. და სახელმწიფოს მმართველობა იმავე წელს [ხელში] აიღო მისმა ძემ შაჰ სულეიმანმა¹⁷. მისი [მეფობის] დღეებში უფრო დაწყნარდა ქვეყანა, მოშენდა ხარაბა-ნაოხარი და გამრავლდა ქვეყნის მოსახლეობა, გასწორდა მსაჯულთა სამართალი, ზომიერი გახდა გადასახადების აკრეფა და მოწესრიგდა ყოველგვარი საქმე და წესჩვეულება¹⁸. ამნაირად მართავდა იგი თავის ქვეყანას და ქვეშევრდომებს და გარდაიცვალა 1139 წელს¹⁹. მის შემდეგ, ჩვენს დროში, 1140 წელს²⁰ გახელმწიფდა მისი ძე შაჰ სულთანი, ჰუსეინად წოდებული, ყმაწვილი ასაკით.

ის, რაც აქამდე მოხდა მოვიძიეთ და ამოვკრიფეთ ძველი საისტორიო მწერლობიდან²¹, განსაკუთრებით კი არაქელ ვარდაპეტის თხზულებიდან. უფალმა შეიწყალოს იგი. ამის შემდეგ ვალად გვდევს აღწერათ ეს დღევანდელი დრო, რომელშიც ჩვენ ვიმყოფებით. დადება ქრისტეს უკუნითი უკუნისამდე.

თ ა ვ ი III

სპარსელთა სახელმწიფოს დაცემისა და დაქვეითების შესახებ

თავისი ხელმწიფობის მეათე წელს ჰუსეინად წოდებულმა შაჰ-სულთანმა ბრძანა აეწერათ ხალხი და ქვეყანა სომეხებისა და ყველა მოდგმისა, რომლებიც მის ხელისუფლებას ექვემდებარებოდნენ, წასულიყვნენ მისი მოხელენი, ვითარცა მისი სახლის სარწმუნო პირნი, მწერალნი და მოანგარიშენი, რათა შეუტდომლად და დაუფარავად აეწერათ ყველა ასაკის [ადამიანი] ხუთმეტი წლიდან მოკიდებული და ზემოთ და მისი ბრძანებით ასეთნაირად დამუქრებოდნენ [მოსახლეობას]: ..თუ ვინმე იპოვის დამალულს და ლტოლვილს და ამის შესახებ ხელმწიფეს აცნობებს, ლტოლვილის თავი ხელმწიფის იქნება, ხოლო მისი

დოვლათი დარჩება იმას, ვინც დაასმენს“. სწორად ასეც მოიქცნენ. რადგანაც დიდი გულმოდგინებით ეძებდნენ და სხვადასხვა ხერხითა და დამუქრებით არკვევდნენ [დამალულთა ადგილსამყოფელს]. ყოველ სოფელში სოფლის მამასახლისს, მღვდლებს და მესტუმრეს, რომელსაც გზირს უწოდებდნენ¹, რომელიმე სახლში ამწყვედევდნენ ერთმანეთისაგან განცალკევებით, ხოლო შემდეგ ათქმევინებდნენ სოფელში მცხოვრებთა სახელებს და იწერდნენ. [დაწერილებს] ერთად უყრიდნენ თავს, ერთმანეთს უდარებდნენ და თუ მეტს ან ნაკლებს აღმოაჩენდნენ მათ ნათქვამში (რადგანაც მოსახლეობის სიტყვის მიხედვით ვალდებულუების წიგნსაც, ე. ი. მუჩაღასაც² ადგენდნენ, [რომელშიც აღნიშნული იყო], რომ თუ ვისმეს ტყუილში დაიქერდნენ მას ჯარიმას გადაახდევინებდნენ), [დამნაშავეებს] ძელზე ჰკიდებდნენ და ჯოხით სცემდნენ. რათა ჯარიმა გადაეხადათ. ამასთან ერთად დიდძალ ქრთამს იღებდნენ, ხოლო მეთადი³ და მეომართა სასარგებლოდ დაწესებული გადასახადი⁴ დადგენილზე მეტი მიჰქონდათ, შემდეგ კი დაწერილს ხელმოკრედ კრეფდნენ. ამის შემდეგ აღწერეს აგრეთვე სავანეები, უდაბნონი და სოფლის ეკლესიები, მათთან ერთად ეპისკოპოსებიც და მღვდელ-მონაზვნებიც ყველანი სათვალავში ჩააგდეს. ამათ რომ მორჩნენ, შეუდგნენ ვაქრების, მგზავრების და იმათ აღრიცხვას, ვინც რაიმე მცირე ვაქრობას მაინც მისდევდა. ყველანი ერთმანეთის მიყოლებით აღწერეს და [სიები] წაიღეს და წარუდგინეს ხელმწიფის სამსჯავროს.

ხოლო იქ, აღწერილ პირებზე გადასახადები დააწესეს, რომელნიც სამმაგად აღემატებოდნენ აღრინდელ ოდენობას. ეკლესიის მსახურებს, რომლებიც წინათ სრულიად თავისუფალნი იყვნენ, ათგზის უფრო მძიმე ტვირთი დააკისრეს ვიდრე ერისკაცებს. ეს ქვეყნის აღწერა სამ წელიწადში ძლივს დაასრულეს, რაგანაც დაიწყეს 1148 წელს⁵ და 1151⁶ წელს ბრძანება გამოვიდა [აეკრიფათ] მოსახლეობისაგან სამი წლის სულადი გადასახადი, რომელიც ახლა დააწესეს. მღვდელ-მსახურებსაც და სასულიერო პირებსაც მათთან ერთად თანაბრად ართმევდნენ [გადასახადს]. შემდეგ ადგა ატროპატაკანის⁷ დიდი ეეზირი, რომელიც ქალაქ თავრიზში იჯდა, სახელად მირზა თაჰერი, ათას ასი კაციით, მოვიდა ყარაბაღის ქვეყანაში და ქალაქ განჯაში და შეუდგა ბევრად მეტის აკრეფას, ვიდრე დადგენილი იყო.

მეომრები განიფანტნენ ქვეყნებსა და სოფლებში, რომლებიც სათვალავში ჩააგდეს აღწერის დროს. რადგანაც მეტად მძიმე იყო უღელი და ხალხს არ შეეძლო მისი ზიდვა, ამიტომ სტანჯავდნენ და აწიოკებდნენ [მოსახლეობას] და ძარცვა-გლეჯვით მიჰქონდათ [ფული] მათი შეძლებისდა მიხედვით, ბევრიდან ბევრი და მცირედან მცირე, რადგან [დიდი] სოფლიდან [იღებდნენ] ასორმოცდაათ, ას ან ორმოც-

დაათ თუმანს, ხოლო ძალიან პატარადან — არა ნაკლებ ოცდაათი ან ოცი თუმნისა. ესევე მოქცენენ ვაჭრებს და ყველა ხელოსანს. ასე აღრიცხავდნენ ხოლმე წლიდან წლამდე მოსახლეობას, შემდეგ მოდიოდნენ გადასახადის ამკრეფნი და უკლებლივ მიჰქონდათ [დადგენილ-დაწესებული]. ამის შემდეგ კვლავ შემოიღეს სხვა სახის გადასახადი და მას აბიჭურენი⁹ უწოდეს, შემდეგ ისევ დააწესეს სხვა [გამოსალები] და მას 'მაჰზადეს ახრაჯათი დაარქვეს⁹, ამას კიდევ ერთი დაუმატეს და მას შემდინარი უწოდეს¹⁰. ამათი [ოდენობა] სამჯერ გაზარდეს.

ხელმეორედ გამოვიდა ბრძანება წასულიყვნენ [მოხელენი] და აეწერათ ქვეყნის, სოფლებისა და მამულების ყველა საზღვარი, მიწები, წყალი, ბაღები, მინდვრები, ხეები, ნარგავები და ყველაფერი, რაც კი საჭიროა ადამიანისათვის. სულ ერთნაირად აღწერეს ყველანი, როგორც სომხები, ისე სხვა მოდგმის ხალხი და აგრეთვე მომთაბარეები¹¹. შათი საძოვრები, ცხვრის ფარები, ცხენის რემები, ნახირი და ყველა სახის პირუტყვის ჯოგები აღრიცხეს და წინანდელთან შედარებით ორმაგად გაზარდეს გადასახადი.

ყველაფერი ეს, რაც აქ დავწერეთ, ახლად მოგონილი ბოროტება იყო, რომელიც მიუმატეს ადრე დაწესებულ გადასახადებს მაშინ, როდესაც წინანდელ¹² უმძიმეს ტვირთს წარმოადგენდა მოსახლეობისათვის და ახლაც შემსუბუქების ნაცვლად კიდევ ამდენი დაუმატეს მას.

გარდა ამისა, როგორც წესია სპარსელთა სახელმწიფოში, თავიანთი სამფლობელოს თითოეულ ქალაქში და ყველა ქვეყანაში, განაწესეს გამგებლები და მხედართმთავრები, როგორც არის ხანი, სულთანი, ყულბეგი, ვეზირი, ტარულა და თიულდარი¹². წინათ, ვისაც რომელიმე ასეთ სახელოს მისცემდნენ, ძნელად თუ გამოსცვლიდნენ მას და წაართმევდნენ [თანამდებობას]¹³. თუ ვინმეს რაიმე დიდი დანაშაული ან მავნებლობა დაბრალდებოდა ანდა მისი ძალმომრეობისა და სიხარბის გამო მომჩივანნი და მახეზღარანი მივიდოდნენ ხელმწიფის კარზე და მის დანაშაულს გამოააშკარავებდნენ, მხოლოდ ამის შემდეგ თუ წაართმევდნენ ხოლმე ასეთ კაცს თანამდებობას.

მაგრამ ახლა ამ ხელმწიფის დროს ასე აღარ არის, პირიქით ხელმწიფეც და მისი დიდებულნიც მექრთამეები არიან, ხშირ-ხშირად სცვლიან და ხსნიან [მოხელეებს] და ერთი წლის მანძილზე ერთმანეთის მიყოლებით ორ ან სამ მმართველს გზავნიან ერთსა და იმავე ქალაქში, ხოლო ისინი მოდიან და როგორც თვითონ ქრთამით აქვთ მიღებული თანამდებობა, თვითონაც ასევე უგულუბელყოფენ ყოველგვარ სამართალს და ხალხის უფლებებს, ძარცვავენ და აწიოკებენ თავიანთ ქვე-

შევრდომებს. ასევე იქცევია მათი მერჯულენიც, ე. ი. მსაჯულები — შეიხ-ულ ისლამები¹⁴ შეიხები¹⁵ და ისინი, ვისაც ყაზიებს უწოდებენ.

კვლავ მოიგონეს სხვა ბოროტება, რადგანაც ყველას ვისაც ოდესმე გააჩნდა სოფლები და მამულები, აგრეთვე დაჭირავებულებს, ე. ი. დონ-ლულით¹⁶ ნაჭირავებ სარდლებს და მეომრებს, რომლებსაც ფულის სახით გარკვეული [შემოსავალი] ჰქონდათ, მათ [სასარგებლოდ დადგენილი] შეათედიც ჩამოაპრეს და ხელმწიფის კუთვნილებად აქციეს. თვითონ კი მათზე [დაწესებულ] თანხასაც არ იხდიდნენ, პირიქით ისიც დაუმატეს და დააკისრეს თავიანთ ქვეშევრდომებს. ასეთნაირად იქცეოდნენ. ამის მსგავსად სხვა უარესი ბოროტებაც გაამრავლეს: ყმაწვილები და ქალწულები ძალით მიჰყავდათ, მამაკაცებს და ქალებს ხარწმუნეობას ძალდატანებით აცვლევინებდნენ, სარწმუნოების ერთგულთა ქონებას, დოვლათს და განძეულობას იტაცებდნენ და რჯულის მოღალატეთ აძლევდნენ, ისე რომ ბევრი შეძლებული და მდიდარი ვიხილეთ ჩვენის თვალთ, რომლებიც უკიდურეს სიღატაკესა და გაჭირვებაში იყვნენ ჩაცვნილი და როდესაც ვიკითხეთ, შევიტყვეთ, რომ რჯულის მოღალატეებისა და თავიანთი ქონების მოტაცების გამო იყვნენ ასეთ დღეში. ასე მოსპეს ყოველგვარი სიკეთე ჩვენს ქვეყანაში, რის შესახებაც ყველაფერი ვერ დავწერეთ. იმავე დროს თავიანთი წესებიც შემოიღეს, მაგრამ [მოსახლეობამ] წინააღმდეგობა გაუწია შეცვლილ-დადგენილ ოდენობას, რომელიც სულადი გადასახადისა და მართლმსაჯულების ანგარიშში დაწესეს მათზე.

ამიტომ შოაწია სამართლიანი უფლის მართლმსაჯულებამ მათზეც და სომეხთა მოდგმაზეც, რასაც მომავალში დავწერ: მათი უღმობლობის და უღმერთობის, საწყალობელთა დოვლათის ძარცვისა და რბევის შესახებ, რაზედაც ბევრიდან მხოლოდ ცოტა შევიტყვეთ. ხოლო მათი ურჯულობა, უკანონობა, თავგასულობა, სიბილწე, უჭკუობა და შუღლი, ისევე როგორც მათი ურჩობა მამაზეციერის, საღუთო წერილისა და [ათი] მცნების წინააღმდეგ, რაც გაცნობეთ ღვთის შეწევნით, განხდა მიზეზი მათი წარწყმედისა, რისგანაც გვიხსნას უფალმა იესომ. დიდება მას უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

თ ა ვ ი I V

აჯანყებისა და ურჩობის შესახებ, რომელიც ადგილ-

ადგილ გამოვლინდა სპარსელთა ხელისუფლების

წინააღმდეგ

წმინდა წინასწარმეტყველის დანიელის წინასწარგანჭკვრეტის თანახმად და მისი წინათხედვის აღსრულების გამო, ისე როგორც მრავ-

ვალ ბრძენთა აზრი, რომ ვერძის ათი რქა არის ნიშანი ათი ხეტმწიფისა სპარსელთა მოდგმისაგან, რაც [მართლაც] შეესაბამება მათ რიცხვს ან და თანახმად სურვილისა ყოველთა მაცხოვარისა, რომელსაც თავიანთ მისაგებელი სამართალი ხელთ უჭყრია, ვითარცა თასი და ვისაც სურს იმას შეასმევს და იგი უფალია მოკვლავთა სახელმწიფოებისა და ქვეყანას ვისაც სურს იმას უწყალობებს¹. ამის [ქვეშარიტება] ამჟამადაც ჩანს, რადგანაც ამ ხელმწიფის სულთან-ჰუსეინის დროს ხორასნისა და ყანდაჰარის მხარეებში ბინადრობდა ხალხი, რომელსაც ავღანელებს უწოდებენ. ამ ხალხის შესახებ მოგვითხრობენ, რომ თითქოს ისინი წარმომავლობით კავკასიის მთიელნი არიან, ალანთა ქვეყნიდან, რომ მოდგმით ისინი ავღანელებს ეკუთვნიან, რომელთაც ამჟამად წინანდელი სახელით მოიხსენებენ. სარწმუნოებით ისინი ქრისტიანები იყვნენ, მაგრამ შემდგომ ლანგ-თემურად წოდებულმა დამპყრობელმა, რომელიც თავისი გამარჯვების წყალობით დაეპატრონა მსოფლიოს მონეტებულ ნაწილს, რასაც მის შესახებ მოგვითხრობენ მატრიანები და გადმოგვცემენ, რომ მან აჰყარა ეს ხალხი მათი ქვეყნიდან და ოცდახუთი ათასი ოჯახი წაასხა და დაასახლა ხსენებულ ქვეყანაში. დროთა განმავლობაში ისინი მაჰმადის რჯულზე მოიქცნენ². შემდეგ გაძლიერდნენ და გამრავლდნენ და მთავრებად და ხელისუფლებად დასხდნენ [თავიანთი მხარის] ყველა ნაწილში და დამოუკიდებელნი იყვნენ შაჰ-აბასად წოდებულ ხელმწიფის დრომდე, რომელმაც აიღო ყანდაჰარი³ და დაიპყრო ის მხარეებ, დაიმორჩილა ისინიც და მათი სახელმწიფოც. შემდეგშიც [ავღანელები ემორჩილებოდნენ] მის შვილებსაც და შვილიშვილებსაც ვიდრე აქამომდე, ჩვენი წელთაღრიცხვის 1150 წლამდე⁴, მაგრამ შემდეგ დაიწყეს აჯანყება და იმ მხარეთა აოხრება⁵.

ასევე იქცეოდა სხვა ტომი, რომელსაც ბელუჯებს⁶ უწოდებენ და აგრეთვე სოულ-ბელალის ქვეყნის⁷ [მოსახლეობას], რომელიც თურქმანების სახელით არის ცნობილი. ერთ-ერთმა ამთჰა ბელადმა სულეიმან-ბაბამ, რომელიც ამბობდა, რომ იგი ენათესავებოდა წინანდელ იმ ხელმწიფეთა საგვარეულოს, რომელნიც ისხდნენ სატახტო ქალაქ თავრიზში და სახელად ჯაჰანშაჰი და იაყუბი ერქვათ⁸, დალაშქრა ასტრახადის ქვეყანა, რომლის მფლობელს ადინალურდს უწოდებდნენ. კავკასიის მთიელნიც, თოვლში მოსახლე ლეკები, რომლებიც ლაზგები არიან და მატრიანეში ჰუნებად იწოდებიან⁹, ოდითგანვე მუდმივი მტრები არიან ატროპატაკანის ქვეყნის, სომეხი ხალხისა და ჩვენი სარწმუნოებისა.

ამათ და ყველა ზემოთ ხსენებულმა მხარი მისცეს ერთმანეთს და აღუდგნენ სპარსელთა ხელმწიფის ხელისუფლებას და დაიწყეს ყველა თავიანთი მახლობელი და მეზობელი ქვეყნის რბევა-აოხრება, [მოსახლეობის] ტყვევნა და მახვილით ხოცვა-ჟლეტვა¹⁰. ეს ერთი წელი კი

არა, დიდ ხანს გაგრძელდა. მათი აჯანყებები მცირე შესვენებებით ერთმეორეს მისდევდა და თუმცა ხელმწიფე ლაშქარს აგროვებდა და მხედართმთავრებისა და სარდლების მეთაურობით მათ წინააღმდეგ გზავნიდა და [აჯანყებულთ] დიდძალ განძეულობასაც სწყალობდა, მაგრამ ამას არავითარი სარგებლობა არ მოჰქონდა, პირიქით, ისევე [სპარსეულნი] მარცხდებოდნენ. მართალია ზოგიერთი მათგანი დიდი ცდით და ძლივსძლიობით დააშოშმინეს; მაგრამ შფოთის აღმოფხვრა არა იმდენად გამარჯვებით მოახერხეს, რამდენადაც მათი გულის მოგებითა და მოთხოვნათა შესრულებით. მაგრამ ყანდაპარისა და კავკასიის მხარეებში შფოთი მაინც დიდხანს გაგრძელდა, რასაც თავის დროზე მოგიტხოვრებთ თუ ამას მამაზეციერი იწებებს. დიდება მას უქუნითი უქუნი-სამდე. ამინ.

თ ა ვ

თუ რა მოიგოქმედეს ჰუნებმა ალვანთა ძველანაში

ყველასათვის ცნობილია, რომ სახლი ან სხვა რომელიმე ნაგებობა, დიდი თუ მცირე, როდესაც დაძველდება უნდა დაინგრეს. ჯერ ქვის კედლები და საძირკველი შეირყევა და ერთმანეთს დასცილდება, მერე სახლის სახურავი ჩამოწევა, ხოლო ამის შემდეგ მთელი სახლი ჩამოიქცევა და დაინგრევა. ასე დაემართა სპარსეთის სახელმწიფოსაც. კავკასიის მთების მკვიდრნი, რომელთაც ლაზგებს უწოდებენ, [ბინადრობენ] მთის აქეთა მხარის ადგილებში, ლახში, ჭარში, თალაში და სხვა სახელებით ცნობილ სოფლებში¹. მათი ბელადი იყო ალი-ულთანი. რომელიც თავდაპირველად შაჰის ბრძანებით იყო დანიშნული. ამან და სხვა ბევრმა დამოუკიდებელმა მფლობელმა ერთმანეთთან პირი შეპყრეს, წინ აღუდგნენ და აუჯანყდნენ ხელმწიფეს 1161 წელს². მაგრამ ამაზე აღრე მათ დაარბიეს, წარტყვევნეს და გაძარცვეს ენისელის ქვეყანა, შაქი, ბასინჯალი, მუმფარაქი, ჩარლათალუ და სხვა მრავალი ადგილი.

ამჯერად კი თავს დაესხნენ ქანთაქად წოდებულ სოფელს და მთლიანად იავარყვეს იგი. ასეთნაირად გათამამებულნი წლითი-წლობით ლაშქრავდნენ მდინარე მტკვრის გაღმა და გამოღმა მხარეს, შაქია, ყაბალი-სა და ლასანუს ოლქებს ქალაქ შემახას სანახებამდე. [ასევე მოაოხრეს] აქეთა ნაპირზე მრავალი [ადგილი] ყაზახის ოლქში³, რომელიც არის აღსთვეი, და ამირშაჰ-შადილუს ქვეყანაში⁴, რომელიც იგივე ზაკამია. განჯათასანის ოთხი ხეობა, ე. ი. შაქორი, განჯათასანი, ვოსკანაპატა-ძორი და ქურაქქასანი⁵ და აგრეთვე ბარდავის მრავალი სოფელი და

დაბლობის სოფლები ერთად ააოხრეს, ტყვეები წაასხეს, ალაფი წაიღეს და გააუდაბურეს. გადარჩენილებმა მიაშურეს არცახის⁷ მთებსა და ტაფობებს, გამაგრებულ ადგილებში გადახვეწით ისინი ცდილობდნენ სიცოცხლის შენარჩუნებას.

1170 წლის 8 მარტს ალი-სულთანმა შეჰყარა იშავე ლაზტა ტომის ლაშქარი, რიცხვით არანაკლები რვა ათასისა, გამოემართა ქალაქ განჯაზე და მოქალაქეთა ნებაშიშევებით დაიჭირა იგი იმ ფოლორცამდე (ე. ი. ქუჩამდე), რომელიც სუთოქულანის სახელად წოდებულ სოფლის მხარეს [მდებარეობს]. როდესაც ლეკები შიგნით შევიდნენ, მხოლოდ მაშინ აღსდგნენ მოქალაქენი, დაიჭირეს მათი უკან დასახვევი გზები და 1200 კაცი გაწყვიტეს, არც მეტი და არც ნაკლები, ხოლო მათ ვერაფერი ველარ გაახერხეს, უკან გაბრუნდნენ და სირცხვილნაჰაჰანი თავიანთი ქვეყნისაკენ გაემართნენ.

ყოველივე, რაც აქამდე დაიწერა ჩვენ მიერ, მოხდა რვა ან ცხრა წლის მანძილზე მოკიდებული 1160 წლიდან⁸. ხელმწიფემ ბრძანება გასცა, რომ სპარსელთა ლაშქარი დაძრულიყო მათ წინააღმდეგ, ე. ი. ქალაქ შემახაში. განჯაში და მათ სანახებში მდგომ [სპარსელებს] და იქ მჭდომ ხანებს [გაელაშქრათ ლეკებზე], მაგრამ რამდენსაც არ ეცადნენ ვერ შეძლეს ლეკებისათვის წინააღმდეგობის გაწევა. უფრო მეტიც დამარცხდნენ და დაილუპნენ მათთან [ბრძოლაში], მსგავსად შემახას ხანის ჰასან-ალისა, რომელიც თხუთმეტათასიანი ლაშქრით მიადგა მათ საზღვრებს, მაგრამ ისინი მარხვის დილას მოულოდნელად თავს დაესხნენ სპარსელებს, ლაშქრის დიდი ნაწილი გაწყვიტეს და ხანიც მოკლეს, გადარჩენილები კი გაიქცნენ და უკან დაბრუნდნენ.

ლეკების შამქორზე თავდასხმის დროს, მათ წინ დაუხვდა ოღურ-ლუ-ხან განჯელი, მაგრამ შემდეგ ზურგი უქცია, უკან გამობრუნდა და განჯაში ჩაიკეტა. ამის მსგავსად ვინმე სახელად ქიჩი ხანი, შაქის მმართველი, მცირე ხანს გაუმკლავდა მათ, მაგრამ ისიც მოკლეს. გარდა ამისა უგუნურთა ამ მოდგმამ უფრო მეტიც გაბედა და შემდეგ ხელი აღმართა კახეთის ქვეყანაზე და ქართველებზე. ისინი აქამდესაც რამდენჯერმე ძლიერად შეეტაკნენ ერთმანეთს და დიდი 'ისხლისღვრა მოხდა ორივე მხარეს. კახეთის [მეფე] მაჰმად ყული-ხანი¹⁰ ერთხელ კი არა, სამჯერ გააქციეს ბრძოლის ველიდან და ხელთ იგდეს მთელი ნისი დოვლათი¹¹. ასე წლიდან წლამდე სულ უფრო ღრმად იჭრებოდნენ ლეკები [კახეთში] და მოაოხრეს მთელი მირია ქვეყანა მათი წინანდელი მეფეების ადგილსაჯდომისა და საეპისკოპოსოების გამოკლებით. [ადგილობრივი მოსახლეობა] თუშეთის მთების მიუვალ ადგილებში გაიხიზნა.

მათ ასეთ და ამდენ უტიფრობას სხვა მიზეზიც ჰქონდა, რასაც ახლავე მოგითხრობთ.

შირვანის ქვეყანაში, ყაბალის ოლქში არსებობს მელიქად წოდებული ერთი მაჰმადიანური ტომის სამფლობელო, სოფელ ლურთაღმენში ყარასუს სახელით ცნობილ ადგილას. ჩანს, რომ მათი ხელისუფალი იყო ვინმე მელიქი, რომელსაც მელიქ მაჰმადს ეძახდნენ, კაცი ჰქვიანი და ილბლიანი, იუდაზე უფრო ხარბი და წურბელაზე გაუმადლარი. მან ყაბალის მთელი ქვეყანა გამოსთხოვა შემახას ხანს.

ეს ქვეყანა იყო ნაყოფიერი, მოშენებული და დასახლებული, როგორც სომხებით, რომლებიც დიდი რაოდენობით გადმოვიდნენ ყარაბაღიდან და იმ ქვეყანაში დასახლდნენ [და რიცხვით] აღმატებულდნენ ადგილობრივ მოსახლეობას, ასევე სხვა ხალხებით, რომელნიც იმ ქვეყნის მკვიდრნი იყვნენ. ხსენებულმა მელიქმა სხვადასხვა ხერხით გამოართვა მათ დიდძალი განძეულობა, მრავალი ოქრო-ვერცხლი, და გაბატონდა ყველაზე. ამისგან შეწუხებულმა ხალხმა ჩივილი დაიწყო მასზე. პოზერის სომეხმა მოსახლეობამ თავი მოიყარა ხანის კარზე და ყოველივე ხელმწიფეს მოახსენა. იქვე იმყოფებოდა ვინმე მღვდელი სახელად ბარსელი, რომელიც იყო ყარაბაღის მკვიდრი, ხაჩენის ქვეყნიდან¹², მელიქთა საგვარეულოდან, რომელნიც ხალხის გადასახლებას დროს წავიდნენ თავისი ნათესაობით, აღადგინეს სოფელი სოკუთლუ და მასში დასახლდნენ. ისე რომ ბარსელზე გავლენიანი არავინ იყო სოფელელთა შორის. ბარსელი აირჩიეს და გაგზავნეს ისფაჰანში ხელმწიფის კარზე, რათა დაედგინათ იქაური სომხური მოსახლეობის მელიქად, რადგანაც იგი მელიქთა საგვარეულოს ეკუთვნოდა. ისიც მათი სურვილის თანახმად გაემგზავრა, მიიღო ზელმწიფის ფირმანი და უკან დაბრუნდა. მაგრამ მისი მტერი ძლიერი იყო და ბარსელმა ვერ შესძლო მას გამკლავებოდა, ამიტომ შემახას მმართველს მან ქრთამით აუხვია თვალები და აღარაფრად ჩააგდეს მღვდლის სიტყვები¹³. მაშინ შურით აღივსნენ მის მიმართ შემახას დიდებულები, ხანსაც აუჯანყდნენ, ეახლნენ ხელმწიფეს, ხანი თანამდებობიდან გადააყენებინეს და მელიქიც დაასმინეს ხელმწიფესთან, რომ დიდძალი სიპლიდრე შეაგროვა და სურს აგიჯანყდესო. [ხელმწიფემ] ბრძანა მთელი უძრავ-მოძრავი ქონება, რომელიც მას გააჩნდა, აეწერათ და ხელმწიფის კუთვნილებად გამოეცხადებინათ, ხოლო თვითონ იგი და მისი მამლობლები დიღეგში ჩაეყარათ. ასეც მოიქცნენ.

შოვიდნენ ხელმწიფის ჯალათები, აწერეს და აღრიცხეს მელიქის სახლი და ქონება, ხოლო თვითონ ის თავის ძმასთან ერთად, რომელსაც სახელად აჰმადს ეძახდნენ, ბორკილებში ჩასვეს და ქალაქ შემახას-

ში წაიყვანეს, სადაც რამდენიმე თვე ციხეში ჰყავდათ, შემდეგ კვლავ გამოუშვეს იქიდან და ისევ დაუბრუნეა მათ ხელისუფლება.

მათი ქონების შესახებ, რომელიც ხელმწიფის ხაზინაში მოათავსეს, ამბობდნენ, რომ მარტო ოქრო და ვერცხლი სამოცდაათ ათას თუმანს შეადგენდა, გარდა სხვა სიმდიდრისა, ოთხთუფისა და მულქებისა¹³, რომელსაც სათვალავი არ ჰქონდა; რადგანაც მოგვიტხრობდნენ, რომ მას ეკუთვნოდა ხუთასი თინკი, რომლითაც არჩევენ ბრინჯს, ხუთასი ქუზი და მანინაკი, რითაც ართავენ აბრეშუმს, ხუთასი მდინარე და რუ, რომელსაც არხს უწოდებენ და აუცილებელია მიწათმოქმედებიაათვის, ხოლო მის დანარჩენ სიმდიდრეს თვითონ მიხვდები გუმანით.

ყოველივე ამის შემდეგ, როდესაც გავიდა რამდენიმე წელიწადი, ვინმე სახელად ჰუსეინმა, შემახას ხანმა კვლავ შეიპყრო შაჰის ბრძანებით ორივე და თავი მოკვეთა მათ. ხოლო შემდეგ დაიქირა მელიქის სამი ვაჟი, რომელთაც ფეიქარი, იბრაჰიმი და ყასუმი ერქვათ და დიდი ტანჯვა-წამების შემდეგ წაართვა მათ დარჩენილი ქონებაც, რომელიც, როგორც ამბობდნენ [შეადგენდა], ოცდახუთ ათას თუმანს, ამჯერადაც, ამდენი წაიღეს და გაათავისუფლეს ისინი. ამის შემდეგ ფეიქარად წოდებული [ერთ-ერთი ძა] ეახლა შაჰა, მიიღო მელიქობა, დაბრუნდა თავის სამფლობელოში და მართავდა ქვეყანას თავის წინაპართა წესის თანახმად. ბოლოს, ოთხი წლის შემდეგ შემახას მეორე ხანმა, სახელად აგრეთვე ჰუსეინმა, ფეიქარს მისსავე სახლში მოჰკვეთა თავი და შემდეგ მისი სახლი, ცოლები, შვილები და მთელი მისი ავლადიდება ხელთ იგდო და შემახაში გადაგზავნა. ამის შემდეგ გამოძენეს და მიაკვლიეს მთელი ქონება, რომელიც მას ჰქონდა და ისიც წაიღეს და ხელმწიფის ხაზინას ჩააბარეს. ამბობდნენ, რომ მიაი ქონების ღირებულებაც ოც ათას თუმანს აღემატებოდა.

მისი ძმები იბრაჰიმი და ყასუმი გაიქცნენ და წავიდნენ ზემოხსენებულ ალი-სულთანთან, ხოლო იქიდან გადავიდნენ მთის იქითა მხარეს ლაზგების მოდგმის თავკაცებთან. როგორც ამბობენ, მუსლიმანები ორ სექტად იყოფიან: პირველს შიიტებს უწოდებენ, რომელსაც მისდევენ სპარსელნი და ყიზილბაშები, ხოლო მეორეს — სუნიტებს, რომელსაც აღიარებენ ოსმალონი, ხსენებული მთიელები, ყანდაჰარის ავღანელები, ოზბეგები, ბუხარელები, არაბები და მსოფლიოს სხვა ხალხები, რომელნიც მისდევენ ამ სარწმუნოებას¹⁴. იმიტომ წავიდნენ ძმები ლეკებთან, რომ ისინი ერთმორწმუნენი იყვნენ. გადმოგვცემენ, რომ ისინი ფეხშიშველა და თავშიშველა დადიოდნენ ლეკთა სახლებში თავიანთი უბედურების გამო, რომელიც მათ შიიტებისაგან განიცადეს, რადგანაც ასეთი იყო იმ ადგილის ჩვეულება.

მანმა ასეთმა სიარულმა გააღვივა ლეკთა შურისძიება, აღიგზნენ გააფთრებულ მხეცებზე უფრო მეტად და დიდ სირცხვილად ჩასთვალეს, რომ ისინი ასეთ წინდგომარეობაში იმყოფებოდნენ. ლეკებმა ერთმანეთს შეუძახეს, შეერთდნენ და ერთიმეორეს წაქეზებით თავი მოიყარა: ერთ ადგილას ბევრზე ბევრმა, უთვალავმა ათასმა [კაცმა] იმის გამო, რომ მთის აქეთა მხარია ლეკებს, რომელიც ზემოთ მოვიხსენიეთ, გამუღმებით ესმოდათ მათი თარეშის შესახებ, მათაც განიზრახეს წასვლა და მათთან შეერთება. წინა წელს¹⁵, მათი ბელადი, სახელად სურხა თავს დაესხა ქართველთა ქვეყანას, შეიჭრა კახეთსა და თბილისში და დალაშქრა ოლქები, რომელთაც სომხთსა და დმანისს უწოდებდნენ.

ხოლო ამჟერად ზემოთ მოთხრობილ მიზეზების გამო, 1171 წლის 10 აგვისტოს¹⁶ გაერთიანებული ძალებით ხსენებული ლაზგების ტომები ყველა თავიანთი ბელადით, ზემოხსენებული სურხაით, შამხალით, უცპათ, ჰაჭი დავუდით და ალი-სულთანით, მთელი თავიანთი ძლევა-მოსილებით თავს დაესხნენ ქალაქ შემახას. რვა დღე გააფთრებით იბრძოდნენ, მაგრამ ვერ შესძლეს [ქალაქის] აღება. ამასთანავე მათ კვალდაკვალ ამბავი მხოვიდა, რომ თითქოს ზოგიერთმა მათმა მახლობელმა შუღლი ჩამოაგდო მათ ქვეყანაში. ამიტომ ერთ ღამეს [ლეკები] მოულოდნელად უკან დაბრუნდნენ და წავიდნენ თავიანთ სამფლობელოში.

ამის შემდეგ შემახას მოსახლეობა შეუღდა ქალაქის მხარეების გამაგრებას ზღუდეებით, თხრილებითა და გალავნით. ამასობაში [მაშველმა] ჭარმაც მოაღწია ყოველი მხრიდან (ე. ი. განჯიდან, ყარაბაღიდან). შაჰის ბრძანებით მოვიდა ქალაქის ახალი ხანიც, რომელსაც ერქვა ჰუსეინ-ხან აქულსიეული. იმ წელს შეინარჩუნეს ქალაქი მომდევნო წლის იმავე თვემდე.

²⁵ ლ. შანსაიქიანი, *Վճնական տեսություն*, ტ. III, გვ. 104. „ქართლის ცხოვრების“ ერთი ცნობის მიხედვით შაჰარმენებს ეუფთვნოდათ აგრეთვე ქალაქი კალბენანი (სიბონ ყუხჩიშვილის გამოცემა, ტ. II, თბილისი, 1959, გვ. 5).

²⁶ История Азербайджана, т. I, Баку, 1958, гв. 142.

²⁷ იქვე, გვ. 143.

²⁸ ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბილისი, 1959, გვ. 62.

²⁹ Стэнли Лэн-Пуль, *Мусульманские династии*, гв. 144; История Азербайджана, т. I, гв. 143.

დროს აზერბაიჯანს ფლობდა ყიზილ-ასლანი, რომლის რეზიდენციას ქალაქი თავრიზი წარმოადგენდა³⁰.

31. 1177 წელი.

32. ხსენებული ვარდაპეტი — ვარდან აღმოსავლელი ანუ ვარდან დიდი, XII საუკუნის ისტორიკოსი, „მსოფლიო ისტორიის“ ავტორი.

33. 1225 წელი. ვარდანის სიტყვით მონღოლებმა შუა აზიაში ილაშქრეს 669—1120 წ.

სინამდვილეში მონღოლ-თათრები შუა აზიაში გამოჩნდნენ 1219 წელს, იმავე წელს ხელთ იგდეს ქალაქი ოთარარი, ხოლო მომდევნო წელს აიღეს ბუხარა, ამარყანდი და მიაღწენ ხორეზმშაპთა დედაქალაქს — ურგენჩს. ხორეზმშაპი ალა აღ-დინ მუჰამედი (1200—1220) გაიხიზნა კასპიის ზღვის ერთ-ერთ კუნძულზე (შესაძლებელია აშურადზე)³¹, აადაც მალე გარდაიცვალა (1200 ან 1221 წწ.)³². ხორეზმშაპ მუჰამედის მემკვიდრე, ჯალალ-ედ-დინი (1220 — 1231) ხორასანში გაიქცა. ნან სცადა წინააღმდეგობის გაწევა მონღოლებისათვის, მაგრამ იძულებული იყო გაქცევით ეხსნა თავი. ამჟერად იგი ინდოეთს გადავიდა. ინდოეთიდან დაბრუნებულმა ჯალალ-ედ-დინმა საშინლად მოაოხრა ირანი და მთელი ამიერკავკასია. უამთაღმწერელი შემდეგნიარად ახასიათებს ჯალალ-ედ-დინს: „კაცი მკნე და ქველი, შემმართებელი, უშიში ვითარცა უქორცო, ძალითა საჩინო, წყობათა შინა უცხო“³³. მაგრამ მიუხედავად თავისი სიბამაციისა და 'ამხედრო ნიჭისა „სპარსეთისა, ადარბაგანისა და საქართველოსათვის ჯალალ-ედ-დინის მოღვაწეობას ზიანის პეტი არა მიუყენებია“³⁴.

34. ვანაკან—XIII ს. ცნობილი სომეხი სწავლული და ისტორიკოსი ვანაკან ვარდაპეტი. მის საისტორიო ნაწარმოებებს ჩვენამდე არ მოუღწევია, მაგრამ მინი მოწაფეების კირაკოს განძაქეცის, ვარდან დიდისა და შალაქია მღვდელმონაზონის ანუ გრიგორ აკანცის ცნობებიდან ვიცით, რომ ვანაკან ვარდაპეტის ისტორიულ თხზულებაში ვრცლად იყო აღწერილი მონღოლთა შემოსევები სომხეთში და საერთოდ ამიერკავკასიაში³⁵.

³⁰ История Азербайджана, т. I, гл. 143.

³¹ В. В. Бартольд. Туркестан в эпоху монгольского нашествия, Сочинения, т. I, Москва, 1963, гл. 493.

³² იქვე.

³³ ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 163—164.

³⁴ ი. ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, წ. III, თბილისი, 1949,

გვ. 73;

³⁵ Մ. Աբեղյան, Հայոց հին գրականության պատմություն, ტ. II, გვ. 191.

35. კირაკოა ვარდაპეტი ანუ კირაკოს განძაყეცი (1201/3 — 1272) ცნობილი სომეხი ისტორიკოსი. მისი თხზულება „სომხეთის ისტორია“³⁶ მოიცავს 'სომხეთის ისტორიულ თავგადასავალს სომეხთა წოქცვიდან (301 წ.) 1265/6 წლამდე. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მონღოლთა შემოსევებისა და ბატონობის აღწერას სომხეთში, საქართველოსა და აზერბაიჯანში.

36. 1266 წელი. მონღოლთა ბატონობის ისტორია სომხეთში და მის მეზობელ ქვეყნებში 1273 წლამდე მოცემულია გრიგოლ აკანელის თხზულებაში „მოისართა ტომის ისტორია“³⁷. ამ თხზულებშია ცნობები საქართველოს შესახებ თარგმნა და სათანადო კომენტარით გამოსცა ნ. შოშიაშვილმა³⁸.

37. 1386 წელი.

38. თემურ-ლენგი (1370 — 1405) ირანი დაპყრობას შეუდგა 1381 წელს, როდესაც თავის ძალაუფლებას დაუმორჩილა ქართვების (ქურთების) პერეთის სამთავრო, რომლის ცენტრს ქალაქი პერათი წარმოადგენდა³⁹. შემდეგში თემურ-ლენგის ლაშქრობები ირანში პერიოდულად მეორდებოდა. 1386 წლიდან იგი აწარმოებდა „სამწლიან“ ომს, 1392 წლიდან — „ხუთწლიანს“, ხოლო 1398 წლიდან „შვიდწლიანს“. ამ ომების შედეგად მთელი ირანი დაპყრობილ იქნა თემურ-ლენგის მიერ⁴⁰. ხოლო 1386 წლიდან 1403 წლამდე „რვაგზის შემოიჭრა იგი ამიერკავკასიის ქვეყნებში, მიწასთან გაასწორა აჭაური ქალაქები, სოფლები, სამეურნეო ნაგებობები, მატერიალური კულტურის ძეგლები“⁴¹. ამრიგად, ესაი ჰასან ჯალალიანცის მიერ მოტანილი თარიღი 835/1386, უნდა აღნიშნავდეს თემურ-ლენგის პირველ ლაშქრობას სამხრეთ აზერბაიჯანსა და ამიერკავკასიაში და არა ომის დაწყებას ირანის დაპყრობისათვის, როგორც ფიქრობს ჩვენი ისტორიკოსი. ეს რომ ასეა კარგად ჩანს იქიდან, რომ მისი სიტყვით თემურ-ლენგი 18 წლის მანძილზე არბევდა დაპყრობილ ქვეყნებს და სპობდა მოსახლეობას. როგორც ცნობილია, შუაზიელი დამპყრობლის შემოსევებს ამიერკავ-

³⁶ Կ Ի ր Կ օ ւ Վ ար Դ ավ Ե ց Ի, Պատմություն հայոց, տղխատասիրութայամբ Զ. Ա. Մխիթ-Օհանջանյանի, Երևան, 1961.

³⁷ Մ ա դ ար Ի ա յ Ա բ Ե դ յ Ի Պատմութիւն վասն արգին ննուդաց, Ս. Պետերբուրգ, 1870.

³⁸ გრიგორ აკანელი, მოისართა ტომის ისტორია, თბილისი, 1961.

³⁹ А. Якубовский, Тимур, (Опыт краткой характеристики), Вопросы истории, 1946, № 8—9, стр. 64.

⁴⁰ А. Якубовский, Тимур, стр. 65.

⁴¹ ვ. გაბაშვილი, თემურ-ლენგი, ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, გვ. 22^რ.

კასიაში 1386 — 1403 წწ. ფარგლებში ჰქონდა ადგილი, რაც სწორედ 18 წელს შეადგენს.

1400 წელს თემურ-ლენგმა თურქეთის სულთან ბაიზედთან და ეგვიპტის სულთან ფარაჩთან ბრძოლაში დაიჭირა რამდენიმე ქალაქი: მცირე აზიასა და სირიაში (მათ შორის ქალაქი ალეპოც)⁴². ამიტომ აღნიშნავს ესაი ჰასან ჯალალიანცი, რომ მან „ფეხით გათელა მთელი მსოფლიო სამარყანდიდან აამარანდე და ეგვიპტემდე“.

39. თოვმა არწრუნი X საუკუნეში მძლავრობდა. მისი საისტორიო ნაწარმოებები „არწრუნიანთა ისტორია“⁴³ მოგვითხრობს არწრუნიანთა სამთავროს ისტორიულ თავგადასავალს უძველესი დროიდან X საუკუნემდე⁴⁴. ამიტომ ვასაგებია, რომ იგი ვერ აღწერდა თემურ-ლენგის დაპყრობით ომებს ირანსა და ამიერკავკასიაში. თოვმა არწრუნის ნაცვლად ტექსტში უნდა იყოს თოვმა მეწოფეცი, XV ს. ერთადერთი სომეხი ისტორიკოსი (1376/9 — 1446)⁴⁵, რომლის თხზულებაში — „ლანგ-თემურისა და მისი მეწყვიდრეების იატორია“ — ვრცელადაა აღწერილი თემურ-ლენგისა და შავბატციან თურქმანთა თარეში სომხეთსა და საერთოდ ამიერკავკასიაში⁴⁶.

40. 1406 წელი.

თემურ-ლენგის შემოსევების დროს შავბატციან ანუ ყარა-ყოიუნ-ლუს თურქმანთა ბელადი ყარა-იუსუფი და ჯელაირთა დინასტიის უკანასკნელი სულთანი აჰმედი იძულებულნი იყვნენ სირიაში გაქცეულიყვნენ, სადაც იაინი 1406 წლამდე ტყვედ ჰყავდა ეგვიპტის სულთან ფარაჩს. ტყვეობიდან დაბრუნებულმა აჰმედმა ყარაიუსუფის დახმარებით კვლავ დაიპყრო არაბეთის ერაყი და სანხრეთ აზერბაიჯანი. მაგრამ მალე მოკავშირეებს შორის შუღლმა იფეთქა. 1410 წელს თავრიზის მახლობლად, შანზე ყაზანში ყარა-იუსუფმა სასტიკად დაამარცხა აჰმედ ჯელაირი და დააარსა შავბატციან თურქმანთა სახელმწიფო. რომლია ფარგლებში, აზერბაიჯანის ტერიტორიის გარდა, შედიოდა აგრეთვე სომხეთი, ქურთისტანი და არაბეთის ერაყი. თავის რეზიდენ-

⁴² А. Якубовский, Тимур..., გვ. 66.

⁴³ Պոլժմ Արժրուნი, Պատմութիւն տանն Արժրունեաց, Քիֆլիս, 1917..

⁴⁴ М. Абегиан, История древнеармянской литературы, гв. 380—384; ლ. მელიქსეტ-ბეგი, ძველი სომხური ლიტერატურის ისტორია, გვ. 112.

⁴⁵ Մ. Արեգյան, Հայոց հին գրականության պատմություն, Ե. 11, გვ. 365—366.

⁴⁶ Պոլժմ Մեծիպեցի, Պատմութիւն Լանկ-Քամուրայե և յաւորդաց իւրոյ, Փարիզ, 1860.

ციად ყარა-იუსუფმა ქალაქი თავრიზი აირჩია. ყარა-ყოიუნლუს თურქმანთა სახელმწიფომ 1468 წლამდე იარაგება⁴⁷.

41. 1421 წელი.

42. შაჰრუხი (1405 — 1447) თემურ-ლენგის ძე და მემკვიდრე. ხორასნის სულთანი. შავბატკნიან თურქმანთა დინასტიის ყველაზე ნიჰიერი და ძლიერი წარმომადგენელი ჯაჰანშაჰი (1435 — 1467) თავს შაჰრუხის ვასალად სცნობდა. ამიტომ იგი ებრძოდა აყ-ყოიუნლუს ბელადებს, ალი-ბეგს (1434 — 1453) და მის მემკვიდრეს ჰასან-ბეგს ანუ უზუნ-ჰასანს (1453—1478). მაგრამ 1467 წელს უზუნ-ჰასანმა გადამწყვეტი გამარჯვება მოიპოვა შავ-ბატკნიან თურქმანთა ლაშქარზე და ჯაჰანშაჰის მოკვეთილი თავი შაჰრუხს გაუგზავნა⁴⁸.

ახლად დაარსებულ აყ-ყოიუნლუს თურქმანთა სახელმწიფოს (1468—1501) საზღვრები მოიცავდა: სამხრეთ აზერბაიჯანს (არდებილის ოლქის გამოკლებით, რომელიც სეფიანთა შეიხების დომენს წარმოადგენდა), ყარაბაღს, სომხეთს, ქურთისტანს, დიარბექირს, არაბეთისა და სპარსეთის ერაცს, ლურისტანს, ფარსს და ქერმანს⁴⁹. ამრიგად, ამიერკავკასიის ნაწილის გარდა თეთრბატკნიან თურქმანთა სახელმწიფოში ირანის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილიც შედიოდა. დედაქალაქად კვლავ თავრიზი რჩებოდა.

43. როგორც აღვნიშნეთ, ჯაჰანშაჰს ყარა-ყოიუნლუს სახელმწიფოს ტახტი ეპყრო 1467 წლამდე და არა 1438 (888 წ. სომხური წელთაღრიცხვით), როგორც გადმოგვცემს ესაი ჰასან ჯალალიანცი. სომეხი ისტორიკოსი აქ მეორე შეცდომასაც უშვებს, როდესაც იაყუბფადიშაჰს ჯაჰან-შაჰის ძედ თვლის. სინამდვილეში იაყუბი უზუნ-ჰასანის შვილი იყო და თეთრ-ბატკნიან თურქმანთა სახელმწიფოს მართავდა 1478—1490 წლებში.

44. სეფიანების წარმომავლობის შესახებ საკმაოდ უხვი ცნობებია დაცული სპარსულ აგიოგრაფიულ და საისტორიო მწერლობაში (დერეჟიმ თავაქოლი ანუ იბნ-ბაზაზი, შაჰ ისმაილ I ანონიმური ისტორია, ხონდემირი, ჰასან რუმლუ, ისკანდერ მუნში, ფაზლალაჰ იბნ-რუზბეჰან ხუნჯი, შეიხ ჰუსეინ იბნ-შეიხ აბდალ ზახიდი და სხვ.)⁵⁰.

⁴⁷ И. П. Петрушевский, Государства Азербайджана в XV веке, Сборник статей по истории Азербайджана (ССИА), т. I, Баку, 1949, გვ. 156—159.

⁴⁸ იქვე, გვ. 166—169.

⁴⁹ И. П. Петрушевский, Государства Азербайджана в XV веке, 33. 171.

⁵⁰ И. П. Петрушевский, Ислам в Иране в VII—XV веках, გვ. 361—362.

ამ სუფიურ-დერვიშული ორდენის ქდამაარსებლად ითვლება სეფი ედ-დის ისჰაკი (1252—1334), რომელიც შიიტების წმინდანადაა აღიარებული. მისი მემკვიდრეები და არდებილის წმინდა შეიხები იყვნენ: სადრედ-დინი (1334—1392), ხოჯა-ალი (1392—1427), იბრაჰიმ შეიხშაჰი (1427—1447), ჯუნეიდი (1447—1456), მისი-ძე სულთან ალი (1488—1494/5) და ამ უკანასკნელის ძმა ისმაილი (1494/5), შემდეგში შაჰ ისმაილ I⁵¹. სეფიანების დომენი — არდებილი თავისი სანახებით თანდათან ტიპიურ ფეოდალურ სამთავროდ იქცა. განსაკუთრებით გაძლიერდნენ სეფიანი შეიხები XV საუკუნეში, როდესაც ისინი დაეყრდნენ მცირე აზიიდან გადმოსახლებული შიას მიმდევარ ყიზილბაშურ ტომებს: შამლუს, რუმლუს, უსთაჯლუს, თექელუს, ავშარს, ყაჯარს და ზულყადარს. ამ ტომების სამხედრო ძალის გამოყენებით არდებილის შეიხები განუწყვეტლივ აწარმოებდნენ საღვთო ომებს „ურწმუნოთა“, ე. ი. ქრისტიანების წინააღმდეგ. მაგ., ესაი ჰასან ჯალალიანცის მიერ მოხსენებული, სეფი ედ-დინის შთამომავალი, შეიხ ჯუნეიდის შვილი შეიხ ჰეიდარი ხშირად ლაშქრავდა საქართველოს და მდიდარი ნაღავლით დატვირთული ბრუნდებოდა უკან⁵². არდებილის შეიხების გაზრდილი ძლიერება სცადა თავისი ინტერესებისათვის გამოეყენებინა უზუნჰასანმა. ამიტომ მან ნათესაური ურთიერთობა დაამყარა მათთან და ჯერ თავისი და მისცა ცოლად შეიხ ჯუნეიდს, ხოლო შემდეგ შეიხ ჰეიდარს შერთო თავისი ქალიშვილი ალემშაჰ-ბეგუმი, რომელიც მას ტრაპიზონის უფლისწულის დესპინეხათუნისაგან ჰყავდა⁵³.

45. უკვე იაყუბ-ფადიშაჰის დროს, რომელიც მხარს უჭერდა ჰეიდარის მოწინააღმდეგეს, თავის სიმამრს შარვანშაჰ ფარუხ-იასარს (1462—1500), თეთრბატნიან თურქმენტა სახელმწიფოს და არდებილის კავშირი დაიშალა. 1488 წლის 30 ივნისს დერბენდის

⁵¹ И. П. Петрушевский, Государства Азербайджана в XV веке, გვ. 205, О. А. Эфендиев, Образование Азербайджанского государства Сефевидов в начале XVI века, Баку, 1961,

⁵² شرف خان بدليسی، کتاب شرف نامه، جلد دوم، بطر بوری سنه ۱۸۶۲ (შემდეგში: შერუფ-ნამე), გვ. 313. И. П. Петрушевский, იქვე, გვ. 208.

⁵³ Шеруф-ნამე, გვ. 133. تاریخ عالم آرای عباسی تألیف اسکندر بیگ، جلد اول، تهران ۱۳۰۴ (შემდეგში: ისკანდერ ბენში); И. П. Петрушевский, Государства Азербайджана в XVI веке, გვ. 208.

მახლობლად ტაბასარანში ფარუხ-იასარმა იაყუბის დახმარებით დაამარცხა ყიზილბაშთა ლაშქარი. თვითონ შეიხ ჰეიდარი ბრძოლაში დაეცა. იაყუბმა ტყვედ იგდო თავისი დისწულები, შეიხ ჰეიდარის მცირეწლოვანი შვილები სულთან-ალი, იბრაჰიმი და ისმაილი და ჯერ ვანის ტბის კუნძულზე მდებარე ახთამარის სომხურ მონასტერში ჰყავდა, ხოლო შემდეგ — ფარსის ციხე-სიმაგრე ისტახარში გადაიყვანა⁵⁴.

რაც შეეხება იაყუბის მოწამელას ჰეიდარისა და ალემშაჰ-ბეგუმის მიერ ეს ისტორიულ სინამდვილეს არ შეეფერება. ფაღიშაჰი იაყუბი შეცდომით მოწამლა მისმა დედამ, რომელმაც შემდეგ მწუხარებისაგან თვითონაც მოიკლა თავი⁵⁵.

46. არაქელ დავრიყეცი (თავრიზელი) XVII ს. თვალსაჩინო სომეხი ისტორიკოსი. მისი თხზულება „ისტორია“⁵⁶ მოიცავს სომხეთისა და მისი მეზობელი ქვეყნების (საქართველო, აზერბაიჯანი, ირანი) ისტორიას 1602—1662 წწ. ფარგლებში. არაქელ დავრიყეცის მიერ მოწოდებული ცნობები ხშირად დადასტურებას (პოულობს სხვა საისტორიო ნაწარმოებებში, კერძოდ ისკანდერ მუნშის თხზულებაში „თარიხ-ე ალაშარაი აბასი“ („აბასის ქვეყნის დამამშვენიებელი ისტორია“). ამიტომ ეს ცნობები უმეტეს შემთხვევაში ნდობას იმსახურებენ.

47. 1499 წელი. აღნიშნულ წელს იაყუბ-ფაღიშაჰის ძემ და მემკვიდრემ მურადმა ისფაჰანის მახლობლად დაამარცხა თავისი მოწინააღმდეგე მუჰამედი და დაიკავა ისფაჰანი⁵⁷. ისე რომ სომეხი ისტორიკოსის მიერ მოხსენებული სინხური (*Տնխուր*) არ უნდა იყოს ისტორიული პიროვნება.

48. 1500 წელს თეთრბატკნიან თურქმანთა სახელმწიფო ორ ნაწილად გაიყო. მურადს ერგო არაბეთისა და სპარსეთის ერაცუი და ფარსი, ხოლო მის ბიძაშვილს ალვანდს — სამხრეთ აზერბაიჯანი, ყარაბაღი და სომხეთი. დიარბექორში, ქერმანსა და იზნაღში კი ფაქტიურად დამოუკიდებელი სამთავროები შეიქმნა⁵⁸.

49. 1501 წელი..

⁵⁴ შერეფ-ნაჰე, იქვე; И. П. Петрушевский, იქვე, გვ. 209.

⁵⁵ И. П. Петрушевский, Государства Азербайджана в XV веке, 83-176.

⁵⁶ Պատմութիւն Առաքել վարդապետի Դարձիկցոյ, Վաղարշապատ, 1896. (შემდეგში: არაქელ დავრიყეცი).

⁵⁷ შერეფ-ნაჰე, გვ. 131; И. П. Петрушевский, Государства Азербайджана в XV веке, გვ. 179.

⁵⁸ И. П. Петрушевский, Государства Азербайджана в XV веке, 83-179.

1. 1501 წელი.

1499 წელს 13 წლის ისმაილი დაბრუნდა გილანიდან, სადაც იგი 1495 წლიდან იმყოფებოდა ამიერ გილანის მფლობელის კარკია მირზა ალის კარზე. ჰასან რუმლუს ცნობით, ისმაილს ეახლა შვიდი ათასი კაცი უსთაჯლუს, შამლუს, რუმლუს, თექელუს, ზულყადარის, ავშარის, ყაჯარის, ვარსაყის ტომებიდან და ყარაჯადაღის სუფიებიდან. მაგრამ ვიდრე ისმაილი თავისი მთავარი მოწინააღმდეგეების შირვანშაჰ ფარუხ-იასარისა და ფადიშაჰ ალვანდის წინააღმდეგ გაილაშქრებდა, 1500 წელს თავისი ერთ-ერთი მხედართმთავარი ხოლუფა-ბეგი საქართველოში გაგზავნა¹. ხოლუფა-ბეგმა დალაშქრა სამცხე, „უზომო ნადავლი აიღო“ და ერზინჯანში დაბრუნდა, სადაც იმ დროს ისმაილი იმყოფებოდა².

იმავე წელს ყიზილბაშთა ლაშქარმა ისმაილის ხელმძღვანელობით შემახას მახლობლად ჯაბნში სასტიკად დააღარცხა შირვანის ლაშქარი. თვითონ ფარუხ-იასარიც დაეცა ბრძოლის ველზე³, ხოლო მომდევნო 1501 წელს შარურის ველზე ნახჭევანის მახლობლად ისმაილმა გაიმარჯვა თეთრბატკნიან თურქმენთა ლაშქარზე⁴. ისკანდერ მუნშის ცნობით ალვანდი ერზინჯანში გაიქცა⁵. გამარჯვებული ისმაილი კი თავრიზში შევიდა და თავი ირანის შაჰინშაჰად გამოაცხადა. ამ აქტით საფუძველი ჩაეყარა სეფიანთა სახელმწიფოს (1501 — 1722). 1510 წლისათვის შაჰ ისმაილ I (1501—1524) მთელი ირანი ემორჩილებოდა.

2. 1526 წელი. სინამდვილეში შაჰ ისმაილ I გარდაიცვალა 1524 წელს.

3. შაჰ თამაზ I (1524—1576).

4. 1538 წელს შირვანი აეფიანთა სახელმწიფოს შეუერთდა. იგი მის ერთ-ერთ ვილაიეთად იქცა, რომლის ბეგლარბეგად დაინიშნა

¹ ჰასან რუმლუს ცნობები საქართველოს შესახებ, სპარსული ტექსტი თარგმანითა და შესავლით გამოსცა ვლადიმერ ფუტურაძემ, შენიშვნები დაურთო რევაზ კიკნაძემ, თბილისი, სს. ტექსტი, გვ. 8. ქართული თარგმანი, გვ. 19.

² იქვე, სს. ტექსტი, გვ. 9, ქართული თარგმანი, გვ. 19.

³ შერეფენაშვი, II, გვ. 134; ისკანდერ მუნში, I, გვ. 26—27. И. П. Петрушевский, Азербайджан в XVI—XVII веках, ССИА, I, გვ. 230; О. А. Эфендиев, Образование Азербайджанского государства Сефевидов, გვ. 87—88.

⁴ შერეფენაშვი, II, გვ. 135; ისკანდერ მუნში, I, გვ. 28; И. П. Петрушевский, იქვე, გვ. 233; О. А. Эфендиев, იქვე, გვ. 90—91.

⁵ ისკანდერ მუნში, იქვე.

შაპ თამაზის ძმა ალყას-მირზა⁶. ასეთივე ბედი ეწვია შაქის სახანოს 1551 წელს⁷. თუმცა შაპ თამაზი ცდილობდა ხორასნის საბოლოოდ შემომტკიცებასაც, მაგრამ სეფიანთა ხელისუფლება ამ ოლქში არასტაბილური და საკმაოდ მერყევი იყო. ამის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად უნდა ჩაითვალოს შუაზზიელ ოზბეგთა შემოსევები, რომლებიც პერიოდულად მეორდებოდნენ XVI ს. 90-იან წლებამდე.

რაც შეეხება საქართველოს, 1541—1554 წლებში შაპ თამაზმა ორჯერ დალაშქრა იგი, მაგრამ მაინც ვერ შესძლო მისი დამორჩილება⁸. როგორც ცნობილია, 1555 წელს ქალაქ ამასიაში თურქეთსა და ირანს შორის დაიდო ზავი, რომლის ძალითაც სეფიანთა სახელმწიფოს ერგო აღმოსავლეთი საქართველო, აღმოსავლეთი სომხეთი და აზერბაიჯანი.

5. 1565 წელს შაპ თამაზის ბრძანებით სეფიანთა სახელმწიფოში ამოიკვეთა სავაქრო გადასახადი — თამლა⁹. თამლის გაუქმება მიზნად ისახავდა ქალაქის ვაჭარ-ხელოსანთა მდგომარეობის გაუმჯობესებას და სავაქრო საქმიანობის გაცხოველება-გაფართოებას.

6. ტექსტში შეცდომით არის 217 გვ. 104 ანუ სომხური წელთაღრიცხვით 675 წელი. აქ აშკარა შეცდომაა. შაპ თამაზ I გარდაიცვალა 1576 წელს.

7. შაპ ისმაილ II (1576—1677).

თავისი ხანმოკლე ზეობის დროს შაპ ისმაილ II-მ სიკვდილით დაასჯევინა თავისი ექვსი ძმა, სეფიანთა დინასტიის სხვა წარმომადგენლები და ბევრი გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე¹⁰. მისობრივი რეპრესიებით იგი ცდილობდა განემტკიცებინა თავისი მდგომარეობა. ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრების“ თანახმად, ისმაილ მწორე „იყო კაცი მოსისხლე და მრავალნი კაცნი დაქოცნა“¹¹.

⁶ И. П. Петрушевский, Азербайджан в XVI—XVII веках, გვ. 267.

⁷ იქვე, გვ. 268.

⁸ შ ა ს ა ნ რ უ მ ლ უ ს ცნობები საქართველოს შესახებ, სპ. ტექსტი, გვ. 11—23. ქართული თარგმანი, გვ. 22—34; ისკანდერ მუნში, I, გვ. 83—84; ფარსადან გორგოჯანიძე, ისტორია, საისტორიო მოამბე, წ. II, თბილისი, 1925, გვ. 4—6; ი. ჭავჭავიძე, ქართველი ერის ისტორია, წ. IV, თბილისი, 1948, გვ. 245—253.

⁹ كتاب. احسن التواريخ، تأليف حسن روملو، كلكته سنة 1931. مسیحی. გვ. 123 ისკანდერ მუნში, I, გვ. 123; ღაფარხანა შარქადაგი ჭაბაძისი, ქაღარეთაყაი, 1870. გვ. 10; კ. მუსთაფა, სეფიანთა ირანის ქალაქები და საქალაქო ცხოვრება (ვაჭრობა, საქალაქო გადასახადები), თბილისი, 1966, გვ. 80.

¹⁰ ისკანდერ მუნში, I, გვ. 205—217; История Ирана с древнейших времен до конца XVIII века, გვ. 264.

¹¹ ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 371.

ზოგიერთი წყაროს მიხედვით უღმობელი შაჰი შეთქმულებმა მოკლეს თავისსავე ჰარამში. ისკანდერ მუნშის ცნობით ისმაილ II ზომანზე მეტი თრიაქი მიიღო და ამით გარდაიცვალა¹². ფარსადან გორგიჯანიძის გადმოცემით კი „შაჰ ისმაილ საწამლავეთ მოაკვდინეს“¹³.

8. შაჰ მუჰამედ ხოდაბანდე ანუ „ღეთის მონა“ (1577—1587). შაჰ მუჰამედი მართლაც ბრმა იყო. მის დროს ირანის სახელმწიფო საქმეებს უძღვებოდა მისი მეუღლე ქვეიანი და ენერგიული შაჰ ულია, რომელიც მოაკვლევინეს ყიზილბაშმა ამირებმა¹⁴.

9. 1580 წელი. სინამდვილეში შაჰ აბას I ტახტზე ავიდა 1537 წელს და სეფიანთა სახელმწიფოს მართავდა 1629 წლამდე.

10. თურქეთის სულთანმა მურად III (1574 — 1595) ისარგებლა ფეოდალური შუღლითა და შინაომებით, რომელმაც მოიცვა სეფიანთა სახელმწიფო შაჰ მუჰამედ ხოდაბანდეს დროს, და 1573 წელს დაიწყო ახალი ომი ირანის წინააღმდეგ. ოსმალეთის ხელში აღმოჩნდა აღმოსავლეთი საქართველო¹⁵, მთელი სომხეთი, ჩრდილოეთი და სამხრეთი აზერბაიჯანი (არდებულის ოლქის გამოკლებით), ქურთისტანი და ლურისტანის ნაწილი. ირანმა სცნო თურქების ბატონობა ამ ქვეყნებზე, რაც სათანადოდ განამტკიცა თურქეთ-ირანის ზავით, რომელიც შაჰ აბას I წინადადებით დაიდო 1790 წელს ქალაქ სტამბოლში¹⁶.

11. შაჰ აბასმა მარჯვედ გამოიყენა მშვიდობიანობის დამყარება და სამხედრო სამზადისს შეუდგა. ყორჩის ჯარს (ტომობრივი ლაშქარი) გარდა მან ჩამოაყალიბა 44 ათასიანი ყულის ჯარის (მონათა ლაშქარი), რომელიც ძირითადად გამაჰმადიანებული ქართველების, სომხებისა და ჩერქეზებისაგან შედგებოდა¹⁷. ყულარ-აღასად (ყულის ჯარის სარდალი) მიღებული წესის თანახმად ყოველთვის ქართველი ინიშნებოდა. გარდა ამისა შეიქმნა არტილერიისა და მუშეკტერების კორპუსები, შაჰისეველების გვარდია¹⁸. ამ ღონისძიებთა შედეგად

¹² ისკანდერ მუნში, I, გვ. 217—219.

¹³ ფარსადან გორგიჯანიძე, ისტორია, გვ. 11, 13.

¹⁴ ისკანდერ მუნში, I, გვ. 251—252; ფარსადან გორგიჯანიძე, ისტორია, გვ. 13.

¹⁵ მ. სვანიძე, ლალა მუსტაფის ლაშქრობა ამიერკავკასიაში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 116, თბ., 1965.

¹⁶ И. П. Петрушевский, Азербайджан в XVI—XVIII веках, гв. 272.

¹⁷ კ. კუციბი, კავკასიური ელემენტი სეფიანთა ირანის პოლიტიკურ სარბივლზე, ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, თბილისი, 1963, გვ. 66.

¹⁸ И. П. Петрушевский, Азербайджан в XVI—XVII веках, гв. 277.

მნიშვნელოვნად გაიზარდა სეფიანთა სახელმწიფოს საქმედრო ძლიერება, განმტკიცდა ცენტრალური ხელისუფლების ავტორიტეტი და ალაგმულ იქნა ყიზილბაში ამირების ცენტრიდანული ტენდენციები.

1603 წელს შაჰ აბასმა დაარღვია 1590 წლის ზავი და თურქეთთან ომი განაახლა. იმავე წელს სპარსელებმა აიღეს თავრიზი, ხოლო მომდევნო წელს — არეზის ჯულა, ერევანი, ნახჭევანი და სხვ. თანდათან შაჰ აბასის ხელში აღმოჩნდა აღმოსავლეთი საქართველო, აღმოსავლეთი სომხეთი, აზერბაიჯანი და ზოგიერთი სხვა ტერიტორია, რომელიც თურქეთის ფარგლებში მოექცა 1590 წლის ზავის ძალით. 1613 წელს დადებული თურქეთ-ირანის ზავით სეფიანთა სახელმწიფომ შეინარჩუნა ახლად დაპყრობილი მთელი აღმოსავლეთ აზიურკავკასია, სამხრეთ აზერბაიჯანი, ლურისტანი და ქურთისტანის ნაწილი¹⁹. ხოლო 1623 წელს სეფიანთა სახელმწიფოს საზღვრებში შევიდა აგრეთვე არაბეთის ერაყი ქალაქ ბაღდადი²⁰.

12. 1629 წელი.

13. შაჰ სეფი I (1629—1642).

14. შაჰ აბას II (1642—1666).

15. 1642 წელი.

16. 1651 წელი. ეს თარიღი არაა სწორი. შაჰ აბას II გარდაიცვალა 1666 წელს.

17. შაჰ სულეიმანი ანუ სხვანაირად შაჰ სეფი II (1666—1694).

18. ესაი ჰასან ჯალალიანცი მეტად აზვიადებს შაჰ სულეიმანის, ისევე როგორც შაჰ აბას II დამსახურებას ქვეყნის მოშენებისა, ხარაბა-ნაოხარის აღდგენისა და მართლმსაჯულების განმტკიცების საქმეში, რადგანაც უკვე შაჰ აბას II დროს სეფიანთა სახელმწიფო დაადგა დაქვეითების გზას. XVII ს-ის 70-იანი წლების მიწურულს მთელი სიძლიერით გამოვლინდა ირანის პოლიტიკური და ეკონომიური სისუსტე. მნიშვნელოვნად ჯაუარესდა სოფლისა და ქალაქის ექსპლოატირებული მოსახლეობის მდგომარეობა, დაეცა გლეხის მეურნეობა, მკვეთრად შემცირდა საქალაქო ხელოსნური წარმოება და ვაჭრობა. კვლავ გაძლიერდა მსხვილ ფეოდალთა ცენტრიდანული ტენდენციები.

ყოველივე ამის გამო სავსებით გასაგები უნდა იყოს, რომ ესაი ჰასან ჯალალიანცის მიერ მოტანილი შაჰ აბას II და შაჰ სულეიმანის დახასიათება ისტორიულ სინამდვილეს არ შეესაბამება.

¹⁹ История Ирана с древнейших времен до конца XVIII века, т. 2, гл. 274—275; И. П. Петрушевский, Азербайджан в XVI—XVII веках, гл. 279.

²⁰ ის. კ. ანდერ მუნში, II, გვ. 1000—1001.

19. 1690 წელი. შაჰ სულეიმანი გარდაიცვალა 1694 წელს.
 20. 1691 წელი. შაჰ სულთან ჰუსეინი (1694 — 1722) ტახტზე ავიდა 1694 წელს.
 21. არაქელ ვარდაპეტი. იხ. თავი I, შენ. 43.

თ ა ვ ი III

1. *Հյուրենկալ* სიტყვა-სიტყვით ნიშნავს მესტუმრეს. ესაი ჰასან ჯალალიანცი მოტანილ ტერმინს ხსნის როგორც გზირს (*գգիր*), რაც სწორი არ არის, რადგანაც გზირის მოვალეობას შეადგენდა ქალაქისა და სოფლის ხელისუფალთა ბრძანების და ახალი ამბების გამოცხადება და არა სტუმრების მიღება.

2. მუჩალგა (თურქ. *موجلا*) — პირობის წიგნი, ვალდებულების წიგნი. ამ შემთხვევაში საგადასახადო ნუსხა, რეესტრი.

3. მეთედი (*მეთედი*), სპ. შესატყვისი დაჰიექ *میتد* — მოსავლის მეთედი, რომელსაც მოსახლეობა სახელმწიფოს სასარგებლოდ იხდიდა¹.

4. სალაშქრო გამოსაღები (*قارم قشایران*). როგორც ჩანს, აქ უნდა იგულისხმებოდეს ალაფე (*الاف*) და ულუფე (*الاف*) გადასახადები ნატურით, რომელიც განკუთვნილი იყო ფეოდალური ლაშქრისა და მეომართა ცბენებისა და სასაპალნე პირუტყვის შესახებად².

5. 1699 წელი. თუ ამ წელს დაიწყო სეფიანთა სახელმწიფოს ხალხთა აღწერა, მაშინ იგი უნდა დასრულებულიყო 1701 წელს, რადგანაც ესაი ჰასან ჯალალიანცის სიტყვით მოსახლეობის აღწერას საპიწელიწადი მოუნდნენ. ამასთანავე უნდა, აღენიშნოთ, რომ ხალხთა აღწერა სეფიანთა სახელმწიფოში დაიწყო შაჰ სულთან-ჰუსეინის ხელმწიფობის არა მეთე წელს, როგორც ამას გადმოგვეცემს ისტორიკოსი, არამედ მისი მბრძანებლობის მეექვსე წელს, რადგანაც სულთან-ჰუსეინი ტახტზე 1694 წელს ავიდა.

6. 1702 წელი. სულადი გადასახადი (*قشایران*) — სეფიანთა სახელმწიფოში დაწესებული სოფლისა და ქალაქის გზრომელ

¹ И. П. Петрушевский, Очерки по истории феодальных отношений в Азербайджане и Армении в XVI—начале XIX века, Ленинград, 1949, гл. 268.

² იქვე, გვ. 273—274; А. А. И-З а д е, Социально-экономическая и политическая история Азербайджана XIII—XIV вв., Баку, 1956, гл. 233—234; О. А. Э ф е н д и е в, Образование Азербайджанского государства Сефевидов, гл. 42.

მოახლოებაზე. აქედან არამუსლიმანები (ქრისტიანები, ინდუსები, ლებრები და სხვ.) იხდიდნენ ჯიზიას (جزيه), რომლის ოდენობა სხვადასხვა დროს სხვადასხვა იყო. ჯიზიას მოხდა სომხურ სამღვდელოებასაც ევალებოდა. მხოლოდ ცალკეულ შემთხვევაში, განსაკუთრებული წყალობის გამო მისი გადასახადისაგან თავისუფლდებოდნენ ცალკეული სომხური მონასტრები და ბერ-მონაზვნები⁴.

მუსლიმანური ექსპლოატირებული მოსახლეობა იხდიდა სულად გადასახადს, რომელსაც სარანე (سرا) ეწოდებოდა. ამიერკავკასიის სახანოებში დამოწმებულია სარანეს სინონიმები: ბაშ-ფული (باش پولی), ბაშ-მალი (باش مالی) და სარშომარა (سارشمارا)⁵.

7. ატროპატაკანი — სამხრეთი ანუ ირანის აზერბაიჯანი.

8. სეფიანთა სახელმწიფოს დედაქალაქი ისფაჰანი წყლის რესურსების ნაკლებობას განიცდიდა. ამიტომ რამდენჯერმე გაკეთდა ცდა ისფაჰანის მდინარე ზაენდე-რუდთან შეეერთებინათ ქალაქის მახლობლად გამავალი მეორე წყალმრავალი მდინარე აბიქურენი. როგორც ჩანს, ამ ორი მდინარის არხით შეერთების აუცილებლობა დღის წესრიგში დადგა შაჰ სულთან-ჰუსეინის მმართველობის წლებშიც. სწორედ ამ ღონისძიების განხორციელებისათვის საჭირო თანხების მოსაპოვებლად უნდა ყოფილიყო დაწესებული ახალი გადასახადი, რომელსაც „აბიქურენი“ (اباخچوران) ეწოდა⁶.

9. შაჰზადეს ახრატთი (شاهزاده احراط) — როგორც თვითონ ტერმინი გვიჩვენებს, ეს გადასახადი გამიზნული იყო სეფიანთა უფლისწულების (شاهزاد) ხარჯების (اخراجات) დასაფარავად⁷.

10. შეშდინარი (شهرتینار) — სპ. شش دینار ტერმინიდან გამომდინარე შეიძლება დაეასკენათ, რომ ეს გადასახადი იკრიფებოდა ექვსი დინარის ოდენობით. პროფ. ი. პეტრუშევსკის აზრით, შეშდინარი საკომლო გადასახადს წარმოადგენდა⁸.

⁴ И. П. Петрушевский, Очерки..., გვ. 283—284; კ. კუციანი, სეფიანთა ირანის ქალაქები და საქალაქო ცხოვრება (ვაკრობა, საქალაქო გადასახადები), გვ. 91—92.

⁵ Персидские указы Матенадарана, вып. I, составил А. Папазян, Ереван, 1956, გვ. 190, 284; კ. კუციანი, იქვე, გვ. 92.

⁶ И. П. Петрушевский, Очерки..., გვ. 283; კ. კუციანი, იქვე, გვ. 93.

⁷ კ. კუციანი, სეფიანთა ირანის ქალაქები და საქალაქო ცხოვრება (ვაკრობა, საქალაქო გადასახადები), გვ. 99.

⁸ იქვე, გვ. 89.

⁹ И. П. Петрушевский, Очерки..., გვ. 282.

11. თარაქამა — თურქმანული ტომი (ترکمان تارکمان), რომელიც ყარაბაღში მომთაბარეობდა⁹.

12. XVIII ს. პირველი მეოთხედის სპარსული ანონიმური ძეგლის „თაზქირათ ალ-მულუქის“ („მეფეთა სამახსოვრო“) მიხედვით სეფიანთა სახელმწიფოში ცალკეულ ოლქებს მათი სიდიდისა და მნიშვნელობის შესაბამისად მართავდნენ ვალიები, ბეგლარბეგები, ხანები და სულთნები¹⁰. თითოეული მათგანი თავის საგამგებლო ოლქში უმაღლესი სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფლებით სარგებლობდა, მაგრამ იყვნენ სხვა მოხელეებიც: ვეზირი, რომელიც ოლქის ფინანსურ საქმეებს უძღვებოდა და თვალყურს ადევნებდა გადასახადების დროულად აკრეფას, ყულბეგი — სამხედრო კორპუსის სარდალი, ტარულა ანუ ქალაქის მმართველი, თაჰვილდარი (ჩვენ წყაროში დამახინჩები-თაა მოტანილი ეს ტერმინი — *تاجی*) — ხაზინდარი და სხვ.

13. ისკანდერ მუნშის ცნობით მოსახლეობის ჩივილი ოლქისა თუ ქალაქის მმართველის სისასტიკისა და უსამართლობის შესახებ, ზოგიერთ შემთხვევაში მათი თანამდებობიდან გადაყენების მიზეზი ხდებოდა. ასე მაგ., 1596 წელს შაჰ-აბას I მოსახლეობის შევიწროვების გამო მეჰდი ყული-ბეგ ჩაუშლეს წაართვა გილანის ჰაქიმობა¹¹. 1632 წელს ქუჭდაპომის ოლქის „რაიებისა და ლატაკების“ საჩივრის საფუძველზე შეცვლილ იქნა ამ ოლქის მმართველი¹².

14. შეიხ ულ-ისლამი — არ. شیح الاسلام და ყადი — არ. قاضی — სასულიერო მსაჯულთა რიცხვს ეკუთვნოდნენ, რომლებიც საქმიანობის გარჩევისა და განაჩენის გამოტანის დროს „დიდებული შარიათისა“ და „ბრწყინვალე სარწმუნოების“ (იგულისხმება ისლამი) წესებით ხელმძღვანელობდნენ¹³.

15. შეიხი — არ. شیخ — უხუცესი, მუსლიმანურ-დერვიშული ორდენის მეთაური.

16. *Донлуғ* — აზ. DONLUĞ — ქამაგირი ქირა¹⁴.

⁹ ისკანდერ მუნში, II, გვ. 657.

¹⁰ გვ. 5—6. تذكرة الملوك، بکوشش محمد دایر سیاقی، تهران ۱۳۳۲ (შემდეგში: თაზქირათ ალ-მულუქი).

¹¹ ისკანდერ მუნში, ტ. I, გვ. 459.

¹² ذیل تاریخ عالم آرای عباسی، تألیف اسکندر بیگ ترکمان بنشی و محمد یوسف مؤرخ، بتعین سیدل خوانساری، تهران ۱۳۱۷, გვ. 119.

¹³ თაზქირათ ალ-მულუქი, გვ. 3; კ. კუტუბი, სეფიანთა ირანის საქალაქო წყობილება „თაზქირათ ალ-მულუქის“ მიხედვით, ნარკვევები შახლობელი აღმოსავლეთის ქალაქების ისტორიიდან, თბილისი, 1966, გვ. 118—119.

¹⁴ Азербайджанско-русский словарь, Баку, 1941, გვ. 113.

1. დანიელი, VII, 23.

2. შუა საუკუნეების სომხურ საისტორიო მწერლობაში თანამედროვე ოსი ხალხის წინაპრებს — ალანებს ხშირად უწოდებდნენ „ალჟანქებს“ (*alxanxj*)¹. ამის მიზეზი იყო ბგერათმონაცვლეობა, როდესაც სომხური „ლ“ (ղ) გამოითქმის როგორც „ლ“ (ლ)². ამრიგად ტერმინი „ალჟანქი“ აღნიშნავდა როგორც კავკასიელ ალბანებს, აქვე „ალანებს“. ამ შემთხვევაში ესაი ჰასან ჯალალიანი „ალჟანქს“ ხმარობს „ავღანელების“ აღსანიშნავად და აქედან გამომდინარე თვლის, რომ ალბანები ავღანთა წინაპრები არიან. ასეთი თვალსაზრისი, რა თქმა უნდა, მცდარია, თუმცა იმავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ სომეხი ისტორიკოსის ცნობა, რომ თემურ-ლენგმა ალანთა ერთი ნაწილი ტყვედ წაიყვანა და ავღანეთის ტერიტორიაზე დაასახლა სავსებით შესაძლებელია, რომ ისტორიული სინამდვილის ანარეკლი იყოს. ამასთან დაკავშირებით ყურადღების ღირსია შერეფედ-დინ ალი იეზდის ცნობა, რომლის მიხედვითაც თემურ-ლენგმა 1936 წ. დალაშქრა ოსეთი და მოსახლეობის ნაწილი ტყვედ წაიყვანა³.

3. შაჰ აბას I ყანდაპარი დაიპყრო 1622 წელს და შეუერთა სეფიანთა სახელმწიფოს.

4. 1701 წელი.

5. 1709 წელს გილზაების ავღანური ტომი ყანდაპარის ქალანთარისა და მდიდარი ვაჭრის მირვეის-ხანის ხელმძღვანელობით აუჯანყდა ცენტრალურ ხელისუფლებას. ყანდაპარის ბეგლარბეგი გურგენ-ხანი ქართლის მაჰმადიანი მეფე გიორგი XI მოტყუებით მოკლეს და მირვეისი ფაქტიურად დამოუკიდებელ მმართველად იქცა. გილზაების აჯანყებას მხარი დაუჭირეს სხვა ავღანურმა ტომებმაც⁴.

განსაკუთრებით გაძლიერდნენ ავღანელები მირვეისის ძის მირ-მაჰმუდის დროს (1717—1725). უკვე 1720 წელს მირ-მაჰმუდმა დაარბია სეისტანი, ქერმანი, ხოლო მომდევნო 1721 წ. — ხორასნის მნიშვნელოვანი ნაწილი. ხოლო 1722 წლის 3 მარტს ისფაჰანის მახლობლად მდებარე სოფელთან გულნაბადთან ავღანელებმა ფადამწვეტი დამარცხება მიაყენეს სეფიანთა ლაშქარს, რის შემდეგაც ხელთ იგდეს ახალი ჯულა და ალყა შემოარტყეს ისფაჰანს. იმავე წლის 22

¹ Ю. С. Гаглойти. Аланы и вопросы этногенеза осетин, Тбилиси, 1966, გვ. 158.

² იქვე.

³ იქვე, გვ. 204—212.

⁴ И. М. Рейснер, Развитие феодализма и образование государства у афганцев, Москва, 1954, გვ. 309—310.

ოქტომბერს სეფიანთა დედამამულები დაეცა და შაჰ სულთან-ჰუსეინმა შაჰის გვირგვინი მირ-მაჰმუდს გადასცა⁵. ავღანელთა ბატონობა ირანში გაგრძელდა 1730 წლამდე.

6. ბელუჯები — ირანულენოვანი ტომი, რომელიც სეფიანთა სახელმწიფოს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მომთაბარეობდა. 1721 წელს ბელუჯებმა დაარბიეს სპარსეთის ყურეზე მდებარე მნიშვნელოვანი ნავსადგური ბენდერ-აბასი⁶.

7. სოულბულაღი — ოლქი ცენტრალურ ირანში.

8. ჯაჰანშაჰი შავბატნიან თურქმენთა ტომს ეკუთვნოდა, ხოლო იაყუბ-ფადიშაჰი თეთრბატნიან თურქმენებს (იხ. თავი I, შენ. 39, 40). ესაი ჰასან ჯალაღიანი აქაც შეცდომას უშვებს და ფიქრობს, რომ იაყუბი ჯეჰანშაჰის მემკვიდრე იყო (იხილე აგრეთვე გვ. 75).

9. საინტერესოა, რომ ე. შარდენიც კავკასიის მთიანეთში მოსახლე ტომებს ალანებს, ჯიქებს, ყარა-ჩერქეზებს, სვანებს და სხვებს „ჰუნებს“ უწოდებს⁷.

10. 1711 წელს ჩრდილოეთ აზერბაიჯანში (შაქი, შირვანი) და დალესტანში იწყება მოსახლეობის ანტიირანული გამოსვლები. ეს ფართო სახალხო მოძრაობა თავის ინტერესებისათვის გამოიყენეს არემის მფლობელმა ალი-სულთანმა, ყიზიყუმუხის მფლობელმა სურხანი-ხანმა, დალისტანის სუნიტური სამღვდელთა ერთ-ერთმა მეთაურმა ჰაჯი-დაუდმა, რომელთაც მხარს უჭერდა თურქეთი⁸.

ლექების შეიარაღებულმა რაზმებმა ჰაჯი დაუდისა და სურხანი-ხანის მეთაურობით აიღეს, დაარბიეს და გაძარცვეს შირვანის მღიდარი ქალაქები შაბრანი (1711) და შემახა (1712 წ.)⁹. მათ ხშირად ადგილობრივი სუნიტური მოსახლეობაც ეხმარებოდა.

⁵ იქვე, გვ. 311; М. С. Иванов, Очерк истории Ирана, Москва, 1952, гв. 82—84.

⁶ М. С. Иванов, Очерк истории Ирана, гв. 82.

⁷ Voyages du chevalier Chardin en Perse..., Ed. par L. Langles, Paris, 1811, t. I, гв. 150.

⁸ П. Г. Бутков, Материалы для новой истории Кавказа с 1782 по 1803 год, СПб. 1869, гв. 3; А. Абдурахманов, Азербайджан во взаимоотношениях России, Турции и Ирана, Баку, 1964, гв. 20.

⁹ А. Абдурахманов, იქვე, гв. 21; В. И. Левинатов, Очерк из истории Азербайджана в XVII в., Баку, 1948, гв. 69—70.

1. როგორც ჩანს, აქ დასახელებული სოფლები ქარის ოლქში მდებარეობდნენ, რომელიც თავის მხრივ დაღესტანსა და აზერბაიჯანს შორის იყო.

2. 1712 წელი.

3. მცირე ყიზილბაშური ტომი ყაზახი უკვე XVI საუკუნეში მომთაბარეობდა ჩრდილოაღმოსავლეთ აზერბაიჯანში, მდინარე აღსტევის (აკსტაფას) დაბლობზე. XVIII ს. მეორე ნახევარში ყაზახის სულთნები ქართლ-კახეთის სამეფოს ვასალები იყვნენ¹.

4. ამირშაჰადილუს ქვეყანა („ქართლის ცხოვრების“ — შაჰშადილო, შაჰშადილუ)² მდებარეობდა ზაგემის დასავლეთით. აღნიშნულმა ადგილმა თავისი სახელწოდება მიიღო შაჰსადილინუს ტომისაგან, რომელიც შაჰ ისმაილ I-ის ბრძანებით ჩასახლდა კახეთში.

5. *ჟანჯაყაყაყანო* — განჯის ოლქი. ასე უწოდებს მას აგრეთვე აბრაჰამ კრეტაცი³.

6. ქურაქფასანი — განჯის ოლქის ერთი ნაწილი.

7. არცახი — სომხური ფეოდალური სახელმწიფო ყარაბაღში.

8. 1721 წელი.

9. 1711 წელი.

10. იმამყული-ხანი — ერეკლე I-ის ძე, კახეთის მეფე დავით II (1703—1722).

11. ანალოგიურ ცნობას გვაწვდის სეხნია ჩხეიძეც: „ამავე ქორონიკონს დაუმარცხდა კახთ ლეკთაგან, ამოსწყვიტეს კახნი. მას უამსა ბატონობდა კახეთის მეფის ერეკლეს ძე დავით, სპარსთა ენითა იმანყული ხან. მიაშველა მეფემ იესემ ქართველთ ჯარი და სარდალი ლუარსაბ, შეიბნენ ლეკნი და ქართველნი წინა მინდორსა, დაუმარცხდა ქართველთა, მოვიდნენ დამარცხებულნი“.

12. ხაჩენი — ყარაბაღის მთიანეთში მდებარე სომხური ფეოდალური სამფლობელო (სამელიქო). მელიქი — XVI — XVIII სს. წერილი სომეხი ფეოდალის აღმნიშვნელი ტერმინი.

12ა. აზრი გაურკვეველია.

¹ А. К. Бакиханов, Гюлистан Иран, Баку, 1926, გვ. 103.

² ქართლის ცხოვრება, II, გვ. 365, 507.

³ Աբրահամ Կրետիկիսի Կրեատացիայ Պատմութիւն անցից իւրոյ և Նատր-ճարին Պարսից, Վաղարշապատ, 1870, გვ. 42.

⁴ ს ე ხ ნ ი ა ჩ ხ ე ი ძ ე, ცხოვრება მეფეთა 1469—1800-მდე, თბილისი, 1913.

13. მულქი — ფეოდალებისა და გლეხების კერძო მესაკუთრული მიწები. მულქს შეადგენენ აგრეთვე სხვადასხვა დანიშნულების სამეურნეო ობიექტები: წისქვილები, ზეთსახდლები და სხვ⁶.

14. ისლამის ორი ძირითადი მიმართულებაა ორთოდოქსალური ანუ მართმადიდებლური ისლამი, რომლის მიმდევრებაც სუნიტები ეწოდებათ და შია, რომელსაც შიიტები აღიარებენ. შიიტები სუნიტებისაგან განსხვავებით არ ცნობენ პირველ სამ ხალიფას (აბუ-ბექრი, ომარი, ოსმანი), უზურპატორებად თვლიან მათ და პირველ ხალიფად მიაჩნიათ მუჰამედის სიძე, მისი საყვარელი ქალიშვილის, ფატიმაა მეუღლე — ალი⁷. შიიტობა სეფიანთა სახელმწიფოს ოფიციალურ რელიგიად იქნა გამოცხადებული 1501 წელს.

15. 1720 წელს.

16. 1722 წელი. ეს თარიღი სწორი არაა. სინამდვილეში ქალაქი შემახა ლეკებმა აიღეს 1721 წლის აგვისტოში, რაც სხვა წყაროებიდანაც არის ცნობილი⁸.

17. 1721 წელი.

18. 1606 წელი.

19. 1721 წელი

20. იგულისხმებიან ლეკები.

21. 1721 წლის შემოდგომა

22. ბარგუშათი — მთიანი ოლქი თანამედროვე სომხეთის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში.

23. ე. ი. ლეკები.

24. დიზაკის ქვეყანა — მთიანი ყარაბაღის ერთ-ერთი სომხური სამელიქო.

25. ვარანდის ქვეყანა — ყარაბაღის მთიანეთში მდებარე სომხური სამელიქო.

26. კარკარი — ყარაბაღის ერთ-ერთი მდინარე.

27. იგულისხმება მდ. ტერტერი.

28. ჩარაბერდის ქვეყანა — მთიანი ყარაბაღის სომხური სამელიქო.

⁶ И. П. Петрушевский, Очерки..., 224—230; П. Т. Арутюнян, Освободительное движение армянского народа в первой четверти XVIII века, Москва, 1954, гл. 21—22.

⁷ Симеон Ереванци, Джамбр, Москва, 1958, гл. 193—105

⁸ А. Массэ, Ислам, гл. 38—44; И. П. Петрушевский, Ислам в Иране, гл. 38—39; 350—376.

⁹ В. П. Лысцов, Персидский поход Петра I, 1722—1723, Москва, 1951, гл. 105; В. Н. Левнатов, Очерк из истории Азербайджана в XVIII веке, 71—72.

29. 1722 წლის აპრილი.

30. პირველად ვახტანგ VI ქართველ-სომეხთა გაერთიანებულა ჯარით განჯისაკენ ლეკების წინააღმდეგ გაილაშქრა 1722 წლის გაზაფხულზე².

თ ა ვ ი VI

1. 1722 წლის მაისი.

2. სოფელი გულისტანი ყარაბაღში მდებარეობდა.

3. ე. ი. მდინარე ტერტერამდე.

4. 1722 წლის 8 მაისი.

5. პეტრე I (1696—1725).

6. იგულისხმება თურქეთის სულთანი აჰმედ III (1703 — 1730).

7. მსგავსი ცნობა მოეპოვება ვახუშტი ბატონიშვილსაც: „მაშინ მოუწერა ყეენმან მეფესა, რათა მწე ექმნეს. კვალად მიადგნენ განჯას ლეკნი; განჯელნიცა ევედრებოდნენ განრინებასა. კვლავ მოვიდა წარმოვლინებული რუსთ ხელმწიფეთაგან მამუკა, რათა მოვიდეს მეფე მისთანა, ოდეს გამოვიდეს სპარსეთს. ამის მცნობს ხონთქარს მოემცნო მეფისათვის, რათა ექმნეს მორჩილ მას“¹.

8. ვახტანგ VI-ს თან ახლდა 40-ათასიანი ლაშქარი.

9. 1722 წლის 11 სექტემბერი.

10. იუზბაში — თ. یوزباشی — ასისტავი.

11. 1722 წლის 23 აგვისტოს რუსეთის ჯარმა უბრძოლველად აიღო დარუბანდი. ქალაქის ნაიბი იმამყული-ხანი მიეგება პეტრე I და გადასცა დარუბანდის ვერცხლოს გასაღები².

12. 1722 წლის სამხედრო კამპანიის შეწყვეტის მიზეზი იყო რუსეთის ფლოტის ორი ესკადრის დაღუპვა კასპიის ზღვაზე, რის შედეგადაც რუსეთის ჯარს მოაკლდა არა მარტო არტილერია, არამედ აუცილებელი პროვიანტიც. გარდა ამისა გახშირდა ჯარისკაცების ავადმყოფობა აღმოსავლეთის უჩვეულო ჰაერის გამო, ცხენების დაუღლურება და გაწყვეტა და სხვ.³ მაგრამ მთავარი მიზეზი, როგორც ჩანს, მაინც იყო ის, რომ სპარსეთის ლაშქრობა გაცილებით უფრო ძნელი აღმოჩნდა, ვიდრე ეს ეგონა პეტრე I-ს იგი უფრო მეტ მომზადებას მოითხოვდა.

¹ ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ცხოვრება, თბილისი, 1913, გვ. 126.

² ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ცხოვრება, გვ. 126.

³ В. П. Лысов, Персидский поход Петра I. გვ. 123; История Азербайджана, т. I, გვ. 301.

⁴ В. П. Лысов, იქვე, გვ. 123—124.

13. ისფაჰანის ალყა გაგრძელდა 1722 წლის მარტიდან იმავე წლის 22 ოქტომბრამდე, როდესაც შაჰ სულთან-ჰუსეინი დანებდა ავღანელებს.

14. შტრ. ვახუშტის „საქართველოს ცხოვრება“, გვ. 126.

15. ერეკლე I ძე, კახეთის მეფე კონსტანტინე,

16. თეიმურაზ I, კახეთის მეფე (1606—1616, 1623--1632), ქართლ-კახეთის მეფე (1634—1648).

17. შაჰ თამაზ II (1722—1732) არ ცნობდა მაჰმუდ-შაჰ ავღანელის ხელისუფლებას. შაჰ თამაზ II-ის ხელისუფლება სეფიანთა სახელმწიფოს მხოლოდ მცირე ნაწილზე ვრცელდებოდა, სახელდობრ გილანზე, მაზანდარანსა და სამხრეთ აზერბაიჯანზე.

18. სეხნია ჩხეიძე გადმოგვცემს: „გაგზავნა კახმა ბატონმა ყაენთან კაცი და შეასმინა მეფე ვახტანგ ამაზე არის მტერი შენიო და უყმო ხელმწიფეს რუსეთისასა, ამოსწყვიტა რაჭულისა შენი მოსაყენიო, მიბოძე საქართველო, გიანლო ქართლისა და კახეთის ჯარითა და ვსძლო მტერთა შენთაო“⁴.

19. შაჰ თამაზ II-ის მიერ მაჰმადყული-ხანისათვის ქართლის, ერევნიისა და სხვა ადგილების ბოძების შესახებ ცნობებს გვაწვდიან ვახუშტი ბატონიშვილი, სეხნია ჩხეიძე, პ. ბუტკოვი და სხვ.

20. 1712—1716 წლებში ვახტანგ VI ქერმანის ტყვეობაში იმყოფებოდა.

21. 1716 წელს შაჰ სულთან-ჰუსეინმა მეორედ მოსთხოვა ვახტანგ VI მიეღო მუსლიმანობა. ამჯერად იგი იძულებული შეიქნა დაჰყოლოდა ამ მოთხოვნას, რის შედეგადაც მან მიიღო ქართლის მეფობაც და ირანის სპასალარობაც. სეხნია ჩხეიძე წერს: „მითყვანეს ქერმანიდან ბატონიშვილი ვახტანგ, გაათათრეს, მისცა ყაენმან პატივი და უშურველი წყალობა, გაათათრეს და დაარქვეს უსეინ-ყული-ხან, უბოძა ქართლი, ერანის სპასალარობა, თავრიზი და ბარდა. გამოეგზავნათ ქართლში რაყამი და ბრძანება ბატონიშვილისათვის ბაქარისათვის ნაიბობა ქართლისა“⁵.

22. ვახტანგ მეფე საქართველოში 1719 წელს დაბრუნდა.

23. 1722 წლის დეკემბერი.

24. ვახუშტი ბატონიშვილისა და სეხნია ჩხეიძის ცნობით, ქართლის ჯარმა მაჰმადყული-ხანი დაამარცხა თბილისის მისადგომებთან,

⁴ სეხნია ჩხეიძე, გვ. 35.

იხ აგრეთვე, Переписка грузинских царей с российскими государями, СПб, 1861, გვ. 148, П. Г. Б у т к о в, Материалы..., I, გვ. 51.

⁵ სეხნია ჩხეიძე, გვ. 30.

მთაბორთან⁹. პ. ბუტკოვის სიტყვით თვითონ მაჰმადყული-ხანმა სამი თანმხლები პირით ძლივს უშველა თავს დაღესტანში გაქცევით⁷.

25. პ. ბუტკოვის ცნობით, მაჰმადყული-ხანმა აღუთქვა ლეკებს, რომ თბილისის აღების შემთხვევაში, ქალაქს სამი დღის განმავლობაში მათ სათარეშოდ დაუთმობდა და გაძარცველი საქონელი მათი გასამრჩელო იქნებოდა. ასეთ წინადადებას „ლეკები და სხვა დაღესტნელები“ სიამოვნებით დათანხმდნენ⁸.

26. XVIII საუკუნის პირველი ნახევრის სომეხი ისტორიკოსის აბრაამ ერევანცის ცნობით მაჰმადყული-ხანმა 6 ათასი ლეკი მეომარი წამოიყვანა თბილისზე გასალაშქრებლად⁹. საფიქრებელია, რომ ლეკების რიცხვი გაცილებით უფრო დიდი უნდა ყოფილიყო. ვახტანგ VI ომისათვის მოუმზადებლობას აღნიშნავს სეხნია ჩხეიძე¹⁰.

27. ე. ი. არაგვის.

28. პ. ბუტკოვის ცნობით „ვახტანგ VI იმერეთს გადავიდა“¹¹.

29. ლეკების მიერ თბილისის აოხრების შესახებ ვახუშტი ბატონიშვილი წერს: „ხოლო მისცეს მაჰმადყული-ხანს ქართლი და შევიდნენ ლეკნი იავარჰყვენევს და მრავალი ტყე ჰყვენეს. აგრეთვე გამოვიდნენ მცველნი ციხის თათარნი და დასწვეს სიონი და შემუსრეს ხატი ყოვლად წმინდისა ღუთისმშობლისა სიონისა (ლევან შეამყო, კონსტანტინემ შემუსრა)“¹². ანალოგიური ხასიათისაა სეხნია ჩხეიძის ცნობაც: „კახი ბატონი შეუხდა ქალაქს, ააოხრა ამოსწყვიტნეს მოქალაქენი, აიკლეს საქონელი ურიცხვი, შეუხდნენ სიონსა, დასწვეს. შეაგინეს სიწმინდე, ხატი პატიოსნისა სიონის ღუთისმშობლისა წაიდეს, დღესაც არ ვიციტ რა უყვეს, ზოგი ვინმე დამსხურევას იტყვის, ზოგი დამალვას“¹³.

⁹ ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ცხოვრება, გვ. 129; ს ე ხ ნ ი ა ჩ ხ ე ი ძ ე, გვ. 36.

⁷ П. Г. Бутков, Материалы..., I, გვ. 51.

⁸ ი ქ ვ ე .

⁹ А б р а а м Е р е в а н ц и, История воиш, 1721—1736, Ереван, 1939, გვ. 13.

¹⁰ ს ე ხ ნ ი ა ჩ ხ ე ი ძ ე, გვ. 36.

¹¹ П. Г. Бутков, Материалы..., I, გვ. 51.

¹² ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ცხოვრება, გვ. 130.

¹³ ს ე ხ ნ ი ა ჩ ხ ე ი ძ ე, გვ. 36.

ზ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი	5
აღვანთა ქვეუნი მკლე ისტორია	12
თ ა ვ ი I. გარდასულ დროთა მკლე ისტორია შეკრებილი ვაზნე მაძიებლის მიერ	12
თ ა ვ ი II. ყიზილბაშებად წოდებული სპარსელების სახელმწიფოს დაარსებისა და მათი ხელისუფლების დასუსტების შესახებ	15
თ ა ვ ი III. სპარსელთა სახელმწიფოს დაცემისა და დაქვეითების შესახებ	17
თ ა ვ ი IV. აჩანეებისა და ურჩობის შესახებ, რომელიც ადგილადგილ გამოვლინდა სპარსელთა ხელისუფლებს წინააღმდეგ	20
თ ა ვ ი V. თუ რა შიომოქმედეს პუნებმა აღვანთა ქვეუნიანაში	22
თ ა ვ ი VI. ქართველთა შეთის ვახტანგის მეორედ მოსელა განჯას	30
სომხური ტექსტი	39
კომენტარები	65

Эсай Хасан Джалалянц
КРАТКАЯ ИСТОРИЯ СТРАНЫ АГВАН

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

*

რედაქტორი ნ. ჭანაშია
გამომცემლობის რედაქტორი ელ. ბათიაშვილი
ტექნორედაქტორი ნ. ბოკერიძე
კორექტორი ლ. გელოვანი

გადაეცა წარმოებას 8,7,1969, ხელმოწერილია დასაბეჭდად 20.1.71.
ქილაღის ზომა 60X90^{1/16}; ნაბეჭდი თაბახი 6,0; საალრიცხო-საგამომცემლო
თაბახი 4,95; ტირაჟი 1200; შეკვეთა № 1951.
ფასი 40 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 60, კუტუზოვის ქ. 15
Издательство «Мешинереба», Тбилиси, 60, ул. Кутузова, 15.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სტამბა, თბილისი, 60, კუტუზოვის 15
Типография Академии наук ГССР, Тбилиси, 60, ул. Кутузова, 15